საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სამშაბათი, 19 ოქტომბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 400 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 237 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 237

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

კასიანე და გიორგი გარაყანიძეები აუწყებთ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ 20 ოქტომბერს დღის 12 საათზე წმინდა ნინოს სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა ძვირფასი დის

პატუშას (ეკატერინე) მაჭავარიანის

სულის მოსახსენებლად. (3384—2—1

გამოუთქმელი მწუხარებით გულმოკლულნი: მეუღლე ლიზა, შვილები: გივი და ქრისტინე ცინცაძენი, სიმამრი დიმიტრი, სიდედრი ქრისტინე, ცოლის ძმა ვარლამი ოჯახობით, ცოლის დები: ფაცია, ვერა, მარიამი და ნინა გველესიანები ვაუწყებთ ნათესავთ-ნაცნობებთ სახელმწიფო კონტროლის რევიზორის

გერონტი ბესარიონის ძის ცინცაძის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე კახეთის ქუჩა 24 გამოსვენება ბინიდან ვაგზალზე სამშაბათს 19 ოქტომბერს ნაშუადღევის სამ ნახევარ საათზე ლანჩხუთში წასასვენებლად. (3384—2—1)

მწუხარებით გულჩაშხამული უბედური მშობლები: ბესარიონ და ტერეზი ძმები: დავით და პართენი, რძალი ლიზა, ძმისშვილები თამარ, გიორგი და ქსენია ცინცაძენი აცნობებენ ნაცნობთ და მეგობართ სახელმწიფო კონტროლის რევიზორის

გერონტი ბესარიონის ძის ცინცაძის

უდროოდ გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება ბინიდან კახეთის ქუჩა 24 **ლანჩხუთში** წასასვენებლად დანიშნულია ცხრამეტ ოქტომბერს ნაშუადღევის სამ ნახევარ საათზე. პანაშვიდები ბინაზე ყოველ დღე საღამოს ხუთ საათზე. (3383—2—1)

სახელმწიფო კონტროლის მოსამსახურენი აცნობებენ ნაცნობთ და მეგობართ ძვირფასი ამხანაგის და კარგი ადამიანის კონტროლის რევიზორის

გერონტი ცინცაძის

გარდაცვალებას. ცხედარს ლანჩხუთში წასასვენებლად ვაგზალზე გაასვენებენ სამშაბათს, ოქტომბრის 19-ს სამ ნახევარ საათზე. (3392 1—1)

ექიმი მიხეილ დოროთეოზის ძე, მეუღლე მელანია ივანეს ასული წინამძღვრიშვილები შვილიშვილით აუწყებენ ნათესავთ, რომ დღეს, 19 ოქტომბერს ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი, საყვარელის და მოამაგე დედის

მარიამ გიორგის ასულის წინამძღვრიშვილის

სულის მოსახსენებლად. დასაწყისი წირვისა 10 საათი, პანაშვიდისა— 12 საათი. (3387—1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: ეკატერინე არტემის ასული შვილებით: თამარი, ნიკუშა და შალიკოთი, კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, მართა და ელენე ნიკოლოზის ასულნი, ნატალია ალექსანდრეს ასული, ნუცა, მარო და ოლია ჩერქეზიშვილები, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი ძვირფასი ქმრის, მეორენი მამის, მესამენი დაუვიწყარი ძმის, მეოთხე მაზლის და მეხუთენი საყვარელი ბიძის

გრიგორი ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილის

უდროვოთ დაკარგვას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6—საათზედ ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, გამოსვენება ამავე ეკლესიიდან. დაკრძალვა მოხდება დღეს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (—1—1)

სახალხო გვარდიის ქუთაისის საოლქო შტაბი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და საზოგადოებას დაუვიწყარი ამხანაგის მეორე გუნდის უფროსის

გრიშა (გრიგოლ) გველესიანის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროვოდ გარდაცვალებას. (3393—1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ. № 21, ტელ. 8—07)

სეზონის 1920—1921 წლისა

დღეს, 19 ოქტომბერს

ოიდიპოს მეფე

ტრაგედია სოფოკლესი. თარგ. კონსტ. ანდრონისა.

შემსრულებელნი: სუზანა ბეჟანიშვილი, ბაბუცა გამრეკელი, ნინო გამრეკელი-თორელი, მიხეილ გელოვანი, ნინო დავითაშვილი, აკაკი ვასაძე, ალექსანდრე იმედაშვილი, პლატონ კორიშელი, არეთა ლოლუა, მიხეილ ლორთქიფანიძე, ანდრია მურუსიძე, მიხეილ სარაული, პავლე ფრანგიშვილი, თამარ ქავთარაძე, გოგია ფრონისპირელი, ელენე ციმაკურიძე, ანნა ჩხეიძე, თამარ ჭავჭავაძე, ვერა ჯიქია.

რეჟისორი მიხეილ ქორელი. დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე.

მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აკრძალულია. ანონსი. ხუთშაბათს, ოქტომბრის 21-ს „სიცრუე", შაბათს, ოქტომბრის 23 ს „ოიდიპოს მეფე". ბილეთები იყიდება დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდის. (ნ. 1—1)

სახელმწ. თეატრი.

ოპერა.

19 ოქტომბერს

ქ.ქ. ბოიარსკისა, ერმოლინსკისა. ბ.ბ. ზალიპსკის, საბინინის და სხვ. მონაწილეობით

გოფმანის ზღაპრები

ოთხშაბათს, 20 ოქტ. „მარგალიტის მაძიებელნი", ხუთშაბათს, 21 ოქტ. „მანონი". პარასკევს, 22 ოქტომბერს, 3 მე ხორეგრაფიული საღამო მორდკინისა. დასაწყისი სრულ 7 ნახ. საათ. (ნ. 1—1)

თფილისის მთავრობის კომერციული

სასწავლებელი ამით აცხადებს, რომ გაეროვნებულ (ქართულ) მე-V მე-VI კლასებში არის თავისუფალი ადგილები მოწაფეთათვის, თხოვნების მიღება გრძელდება. სასწავლებლის მისამართი: ჩუღურეთი, 19 თებერვლის ქუჩა, № 2. (3287 7—4)

გრანდიოზული სურათი კინემატოგრაფის ატელე

„ცეკავშირისა"

დღეს

უკანასკნელად

კინემატოგრაფ მინიონის ეკრანზე ნაჩვენები იქნება

ევროპის სოციალისტურ დელეგაციის მოგზაურობა საქართველოში.

თფილისი და საქართველოს სხვა კუთხეები

ნაჩვენები იქნება ეკრანზე

დღეს ყველამ უნდა იხილოს ის, რის შესახებაც მთელი ევროპა ლაპარაკობს. ეს სურათი საინტერესოა არა მარტო ქართველებისათვის, არამედ იგი დიდ ინტერესს წარმოადგენს ევროპისათვისაც, რადგანაც ეს ერთად ერთი სურათი, რომელზედაც აღბეჭდილია საქართველოს ყველა ნაწილები თავის ლამაზ ქანებით და ხალხის ზნე ჩვეულებით. ამ სურათში იხილავთ მხატვრულ ადგილებს, ბალშევიკების საზღვრებს, მომხიბლავ სილამაზეს ყაზბეგისას და სხვა.

კვირას 24 ოქტომბერს ს. ს. დ. მ. პ. თფილისის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმი იწვევს

სამაზრო კომიტეტის სხდომას

განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენებები ადგილებიდან. 2 პრეზიდიუმის მოხსენება. 3) ცეკას მოხსენება. 4) ორგანიზაციული მუშაობა მაზრაში. 5) კულტურული მუშაობა პარტიაში. 6) საწევრო გადასახადი. 7) მომავალი არჩევნების სამზადისი. 8) გარე უბნის თემის საკითხი. 9) მიმდინარე საკითხები. ყველა წევრები ვალდებულია აუცილებლათ დაესწროს. კრება გაიხსნება დილის 10 საათზე. სამაზრო კომიტეტის ბინაზე („ერთობის" რედაქციის შენობა. მეოთხე სართული). **კომიტეტის პრეზიდიუმი.**

(ნ. 5—1)

საქართველოს სახელმწიფო ბანკი
ბათომის განყოფილება

იწყებს ოპერაციების წარმოებას ა. წ. 18 ოქტომბრიდან.

სახელმწიფო ბანკის მმართველი **ი. ლორთქიფანიძე.**

(ნ. 1—1)

საბჭოთა რუსეთის ნოტა სომხეთისადმი

სომხეთის მდგომარეობა დღითი-დღე უფრო და უფრო რთულდება. დიდი პოლიტიკური დამჭრიახობა არ იყო საჭირო იმის მისახვედრათ, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი იმ „წითელ" ჯარს შორის, რომელიც შეკრებილია სომხეთის ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის საზღვრებზე და იმ შავ ჯარებს, შორის რომლებიც სამხრეთიდან და დასავლეთიდან უკვე თავს ესხმიან სომხეთს. ის, რასაც ამ ცოტა ხანში უარჰყოფდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ბ. სტარკი, დღეს უკვე ოფიციალურად აღიარებული ფაქტია: ქემალ-ფაშას და მოსკოვის მთავრობას შემუშავებული აქვთ ერთი სამხედრო გეგმა, რომელსაც პირველი ახორციელებს ხიშტებით და ზარბაზნებით, მეორე—ჯერ-ჯერობით დიპლომატიური ნოტების საშუალებით.

სწორედ ასეთი მნიშვნელობა აქვს იმ ნოტას, რომელიც 13 ოქტომბერს გაუგზავნა სომხეთის მთავრობას საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა ბ. ლეგრანმა. ნოტაში ორი მოთხოვნა არის წამოყენებული: 1) სომხეთმა უნდა გაატაროს თავის ტერიტორიაზე საბჭოთა რუსეთის ჯარი, მისთვის საჭირო სურსათი და ამუნიცია „მუსტაფა ქემალფაშის ოსმალთა ჯართან შესაერთებლად ანტანტასთან ბრძოლის მიზნით". 2) „სომხეთმა ხელი უნდა აიღოს სევრის ხელშეკრულებაზე". ნოტაში ნათქვამია, რომ მხოლოდ ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ გახდება შესაძლებელი ხელშეკრულების დადება საბჭოთა რუსეთსა და სომხეთს შორის.

ადვილი მისახვედრია, რომ ამ „ნოტას" ატყვია ჩვეულებრივი დამახასიათებელი ნიშნები იმ კილოსი, რომლითაც საბჭოთა რუსეთი ელაპარაკება სუსტ სახელმწიფოებს: დედა-აზრი ამ ნოტისა იმაში მდგომარეობს, რომ სომხეთმა ხელი უნდა აიღოს თავის საკუთარ პოლიტიკურ ხაზზე, იმ საერთაშორისო პოლიტიკურ ორიენტაციაზე, რომელიც მას საუკეთესოდ მიაჩნია, და ძლიერი სახელმწიფოს—საბჭოთა რუსეთის—კარნახით უნდა მოექცეს იმ საერთაშორისო წრეში, რომელიც თავისუფალი მოფიქრების და მოსაზრების შემდეგ თვით სახელმწიფოსათვის საზიანოთ არის მიჩნეული. სევრის ხელშეკრულობით სომხეთი მოქცეულია „ანტანტის" სახელმწიფოთა წრეში.

ჩვენ არ შევუდგებით იმის განხილვას, თუ რამდენათ სწორია ან რამდენათ შემცდარია ასეთი პოლიტიკური ხაზი; ჩვენთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ სომხეთის რესპუბლიკამ ეს ხაზი აირჩია თავისუფალი სურვილით.

ბ. ლეგრანის ნოტა კი მისგან მოითხოვს ამ წრიდან გამოსვლას და „კომუნისტურ პანისლამისტური ანტანტის" წრეში მოქცევას, რადგან სომხეთის მხრით ბ. ლეგრანის ნოტის მიღებას აუცილებლათ მოჰყვება სწორეთ ასეთი პოლიტიკური შედეგი. ძალდატანებით, სამხედრო ძალის მუქარით გადადგმა ამნაირი უზარმაზარი ნაბიჯისა, როგორიც არის ძირითადი შეცვლა მთელი პოლიტიკური ორიენტაციისა,—ეს უდრის სახელმწიფოს მიერ თავის დამოუკიდებლობის დაკარგვას, ეს ნიშნავს სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებლობაზე ხელის აღებას და სხვა სახელმწიფოს ვასალად გადაქცევას.

ამნაირი ნაბიჯი გარეშე პოლიტიკაში აუცილებლად გამოიწვევდა სომხეთში მთელი შინაური პოლიტიკის შეცვლასაც. საბჭოთა რუსეთის და ოსმალეთის ნაციონალისტების ორბიტაში მოქცევას თან მოჰყვებოდა სომხეთის პარლამენტის გაუქმება, „საბჭოთა წესების" შემოღება და სათანადოთ გარდაქმნა ყველა დაწესებულებებისა და მთელი ცხოვრებისა. აღერბეიჯანის მაგალითი ყველას თვალწინ გვაქვს იმის მისახვედრათ, თუ რა დაემართებოდა სომხეთს საბჭოთა რუსეთის მოთხოვნაზე რომ დათანხმებულიყო.

ასეთი მნიშვნელობა ექნება ბ. ლეგრანის ნოტის შესრულებას სომხეთის მთავრობის მიერ, თუნდაც სომხეთის მთავრობა დარწმუნებული იყოს, რომ „კომუნისტურ-პან-ისლამისტური" ანტანტა ამაზე შეჩერდება და არ მოინდომებს სომხეთის სრულს წაშლას პოლიტიკური ქარტიდან. მაგრამ შეიძლება თუ არა ამისი იმედი ჰქონდეს სომხეთს? ძალიანაც რომ დარწმუნებულნი ვიყოთ საბჭოთა მთავრობის კეთილსინდისიერებაში, ჩვენ მაინც გადაჭრით ვიტყოდით, რომ ქემალ-ფაშის ლაშქარი ვერ დაკმაყოფილდება ბ. ლეგრანის ნოტის პირობებით, აუცილებლად გადალახავს მის საზღვრებს და განაგრძობს სომხეთზე შეტევას იმ დრომდის, სანამ მას არ გასრესს.

როგორც სჩანს, სომხეთის მთავრობას გაუთვალისწინებია ბ. ლეგრანის ნოტის დედა აზრი და მის მიღებაზე უარი უთქვამს. მიღება ამ ნოტისა სომხეთის მთავრობის მიერ იმისი მომასწავებელი იქნებოდა, რომ იგი ჯვარს უსვამს სომხეთის დამოუკიდებლობას და, შესაძლებელია, სომხეთის ერის პოლიტიკურს არსებობასაც.

პრესა

ამას წინათ ჩვენ აღვნიშნეთ ის კილო და ლექსიკონი, რომლითაც სარგებლობს „ახალი სხივი", და ის სრულიად დაუშვებლათ ჩავთვალეთ. „ახალი სხივი" უკანასკნელ ნომერში გალმა გვედავება, გვაწერს ისეთ რამეს, რაც ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს და თან დასძენს:

„ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოში მომუშავე ამხანაგებისაგან ერიდონ გამთიშველ კილოს". (№ 25).

„ახალი სხივი" ჩვენგან ითხოვს **გამთიშველი კილოს** მორიდებას! ჩვენ სწორეთ ამის წინააღმდეგ ამოვიღეთ ხმა, ჩვენ სწორეთ ის კილო და ლექსიკონი მივიჩნიეთ და მიგვაჩნია დაუშვებლათ, რომლითაც სწერს „ახალი სხივი".

ამ კილოს ნიმუშები უხვად მოიპოვება ამ გაზეთის უკანასკნელ ნომერში. აი, მაგ., რა სიტყვებით უმასპინძლდება იგი ამხ. ყიასაშვილს:

„თურმე ასე ტრაბახს ი. ყიასაშვილი, მომარაგების სამინისტროს დიდი მოხელე... **მატყუარა ყოფილა...** მაშასადამე, ჩვენ კი არ ვეწევით დემაგოგიას, ყიასაშვილი **სტყუის**, რაც საკადრისი არ არის ასეთი დიდი მოხელისათვის".

ამნაირი „ამხანაგური" კილოს ავტორები ლაპარაკობენ გამთიშველობასთან ბრძოლაზე!

სომხეთი და საბჭოთა რუსეთი

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ საბჭოთა რუსეთის სომხეთში მყოფ სრულ უფლებიანმა წარმომადგენელმა ბ. ლეგრანმა 13 ოქტომბერს მიმართა სომხეთის მთავრობას ნოტით, რომელშიაც წამოყენებულია ორი დებულება, რომლის შესრულების შემდეგ შესაძლებელია ხელშეკრულების დადება სომხეთს და საბჭოთა რუსეთს შორისო. დებულებები შემდეგია:

1) თავისუფლად უნდა გაატარონ სომხეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარები და სამხედრო იარაღი და ამით საშუალება მისცეს საბჭოთა ჯარებს შეუერთდნენ მუსტაფა ქემალის არმიას—ანტანტის წინააღმდეგ საბრძოლველად.

2) სევრში დადებულ ხელშეკრულების უარისყოფა. სევრისის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო 10 აგვისტოს მოკავშირეებს და ოსმალეთის შორის და რომელსაც ხელი მოაწერა სომხეთის წარმომადგენელმა ა. აგარონიანმა მდგომარეობს შემდეგში: ყოფილ რუსეთის სომხეთს უნდა შეერთებოდა ვანის, ბითლისის, ერზერუმის და ტრაპეზუნდის ვილაეთები. სომხეთის პასუხი ნოტაზე ოფიციალურად არ მოსულა თფილისში, მაგრამ არის ცნობები, რომ სომხეთის მთავრობამ უარყო ლეგრანის წინადადებაო. („სლ.").

საბჭოთა რუსეთში

აჯანყებები ბალშევიკებისა და ვრანგელის ზურგში.

გაზ. „ვოლ. გორეცის" უკანასკნელ ნომერში ყირიმელი კორესპონდენტი შემდეგსა სწერს: ყირიმში მოსულ ცნობების მიხედვით აჯანყებები ბალშევიკებისა და ვრანგელის ჯარებს ზურგში ფართო ხასიათს იღებს. მდგომარეობა შემდეგია: ალეშკაში მოვიდა აჯანყებულთა დელეგაცია, რომელმაც განაცხადა, რომ ბალშევიკებს აუჯანყდა ხერსონის გუბერნიის 18 საზოგადოება. ტყვეების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ აჯანყებულ გლეხებმა და მახნოს პარტიზანებმა დაიკავეს სადგ. დოლინსკაია და იარაღი აჰყარეს ბალშევიკების 4 ეშელონს, რომლებიც სამხრეთისაკენ მიდიოდენ ჯარების გასამაგრებლათ. მახნომ დაიკავა პავლოგრადი და ნოვომოსკოვსკი. კრემენჩუგის აღების შემდეგ მახნო პოლტავის გუბერნიისაკენ დაიძრა, სადაც მას შეუერთდენ აჯანყებული გლეხები. ხარკოვში და პოლტავაში დიდი პანიკაა მახნოს მოქმედების გამო. საბჭოთა დაწესებულებები ქალაქებს სტოვებენ. ადესის რაიონიდან ჩრდილოეთისაკენ წაიყვანეს საბჭოთა ჯარები იქ მომხდარ გლეხთა აჯანყებების ჩასაქრობათ.

ასეთივე ცნობები მოდის სხვა რაიონებიდან. არა უკეთესია მდგომარეობა ვრანგელის ჯარების ზურგშიაც.

17 სექტემბრის „ვეჩერნეე ვრემია" სიტყვა-სიტყვით შემდეგსა სწერს: „მწვანე-არმიელების მოძრაობამ ისეთი საშიში ხასიათი მიიღო, რომ ამ მოვლენის გვერდის ავლა დაედარება იმას, რომ თვალები დავიხუჭოთ დიდ საფრთხის წინაშე. „მწვანეების" „შაიკების" გამო ყირიმის გზები ფაქტიურათ უკვე გაუვალი გახდა ალუშტიდან, მაგალითად, სიმფეროპოლში, ან ფეოდოსიიდან სუდაკში მისვლა ისეთი საძნელო საქმე გახდა, რომ გეგონებათ, თითქოს ჩვენ ვცხოვრობდეთ საშუალო საუკუნოებში, როდესაც ძარცვა-გლეჯა პირდაპირ ღვთის რისხვით ევლინებოდა მცხოვრებლებს. იმაზედაც რომ არ ვილაპარაკოთ, რომ მშვიდობიანი მუშაობა მოუხერხებელი შეიქნა,—შეუძლებელი შეიქნა აგრეთვე სურსათ-სანოვაგის მოტანა ქალაქებში; ასე რომ „მწვანეების" მოქმედება დიდ საფრთხეს წარმოადგენს ყირიმის წეს-წყობილებისთვის „ვ.გ."

მახნო და ბალშევიკები.

საბჭოთა რადიო იტყობინებოდა, რომ ატამანი მახნო თავისი რაზმებით ბალშევიკებს შეუერთდაო. გაზ. „ვოლნი გორეცის" კორესპონდენტი იუწყება, რომ ეს ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება. საქმე შემდეგში იყო:

მახნო მოექცა ბალშევიკებისა და ვრანგელის ჯარებს შორის. რათა მძიმე მდგომარეობიდან გამოსულიყო, მახნომ წინადადება მისცა ბალშევიკებს, რომ იგი არ იბრძოლებს ბალშევიკების წინააღმდეგ და მთელ თავის ძალებს მიმართავს ვრანგელის წინააღმდეგ. თუმცა ეს განცხადება არ ნიშნავდა ბალშევიკებისადმი დაქვემდებარებას, მაგრამ ბალშევიკები მაინც დასთანხმდნენ მახნოს წინადადებაზე, ვინაიდან მათ არ უნდოდათ საქმე გაერთულებიათ სწორეთ მაშინ, როდესაც გადაჭრილი ბრძოლა უნდა ეწარმოებიათ ვრანგელის წინააღმდეგ. მახნო ამ ჟამათ იბრძვის ვრანგელის წინააღმდეგ, მაგრამ იგი არაფერში არ სთვლის თავის თავს ვალდებულათ ბალშევიკების წინაშე. მდგომარეობამ აიძულა მახნო ასე მოქცეულიყო. მისი ასეთი ნაბიჯი არსებითად სასარგებლო იყო ბალშევიკებისათვისაც; მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ ნიშნავდა ბალშევიკებთან შეერთებას. („ვ. გ.")

—

რუსეთის დეპეშ. სააგენტო შემდეგ ცნობას იძლევა მახნოს შესახებ: როგორც ვიცით ფრანგული პრესა ძლიერ ბევრს ლაპარაკობდა მახნოსა და ვრანგელის შორის კავშირზე. საბჭოთა პრესამაც გამოაქვეყნა თავის დროზე დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებდენ ვრანგელსა და მახნოს შორის არსებულ ფორმალურ კავშირს. ამ ჟამად აშკარავდება ამ ინფორმაციის სიყალბე. უეჭველია, რომ მახნო ფაქტიურად ეხმარებოდა ვრანგელს, ისე როგორც პოლონეთის შლიახტას, ეხმარებოდა იმდენათ, რამდენად იგი საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ იბრძოდა. მაგრამ ფორმალური კავშირი მახნოსა და ვრანგელის შორის არ ყოფილა. ვიღაც ყირიმის ბანდიტი, რომელიც თავის-თავს ატამან ვოლოდინს უწოდებს, ვრანგელის შტაბის ხელმძღვანელობით მახნოს ხელქვეით ატამანის სახელით გამოვიდა. ნამდვილათ მათშორის არავითარი კავშირი არ ყოფილა. ყველაფერი ეს მახნოს დამცველ საფრანგეთის და სხვა იმპერიალისტების მოსატყუებლად ჩაიდინეს. რამოდენიმე კვირის უკან ვრანგელმა მართლა სცადა დაეჭირა მახნოსთან პირდაპირი კავშირი და მის შტაბში მოსალაპარაკებლად 2 თავისი წარმომადგენელი გაგზავნა. სამხრეთის ფრონტის რევოლიუციონურ საბჭოს დელეგატებს შეძლება ქონდათ დარწმუნებულიყვენ იმაში, რომ მახნოველებს არა თუ არ გაუმართავთ მოლაპარაკება ვრანგელის წარმომადგენლებთან, არამედ საქვეყნოდ ჩამოახრჩვეს ისინი. სწორედ ამ ფაქტმა—ვრანგელის ცდამ დაეჭირა პირდაპირი კავშირი—დაანახვა მახნოველებს მთელი უარყოფითი მხარეები მათი საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისა. მალე ამის შემდეგ მახნომ მიმართა სამხრეთ სარდლობას შუამდგომლობით ვრანგელის წინააღმდეგ შეერთებული ძალით ბრძოლის შესახებ. ეს წინადადება მიღებულ იქნა. ამ ჟამად მახნოს რაზმი ასრულებს სამხედრო დავალებებს სამხრეთის ფრონტის სარდალის ამხ. ფრუნძის პირდაპირ ხელმძღვანელობით. (სლ.).

ოსმალთა სომხეთზე თავდასხმის გამო

სომხეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობები.

ერევანი. 14 ოქტომბერი. მერდენეკის მიმართულებით სოფელ დემურტაპის რაიონში 14 ოქტომბერს განთიადზე ჩვენი ქვეითი ჯარი უსროლელად მივი-

დღეს

პოლონელები შეტევას განაგრძობენ. მათ აიღეს ქ. მინსკი. დასავლეთის ფრონტებზე გუშინ უნდა დამყარებულიყო ფაქტიური ზავი.

ატამანმა სემიონოვმა, რომელიც აღმოსავლეთ ციმბირში მოქმედობს, გენერალ ვრანგელის ძალა-უფლება იცნო.

პეტლიურა, ფრანგელი, კერენსკის ყოფილი თანაშემწე სავინკოვი და გენერალი გოხოვიჩი მოლაპარაკებას აწარმოებენ თავის ძალების გაერთიანების შესახებ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

და მტრის სადარაჯოებთან და უეცარი შეტევით გააქცია. ბრძოლა გრძელდება. სოფელ დემურტაპიდან მოქმედებს მტრის არტილერია.

სარიყამიშის მიმართულება. თურქები განაგრძობენ 13 ოქტომბერს ღამით დაწყებულ შეტევას. დილით მათ გაარღვიეს ჩვენი ჯარების მარჯვენა ფლანგი, დაიკავეს სოფელი გიკრმალი და მთა ყარახაჩი. მაგრამ მათ აუტეხეს სროლა მოსულმა რეზერვის ნაწილებმა, და დამარცხებულნი თურქნი უკუ იქცნენ. თურქები ზურგში ჩვენ დავიჭირეთ მთა კარახაჩი, სოფელი გიარმალი და წმინდა ილიას (ზიარეთის) მთა და მდგომარეობა სავსებით აღდგენილია. თურქების მხრივ მოქმედებს 3 ბათალიონამდის ქვეითი ჯარი ორი ზარბაზნით და ესკადრონი.

13 ოქტომბერს ჩვენი ჰაეროპლანი ჰყრიდა ყუმბარებს სოფ. დოლბანდში, სადაც აღმოჩენილია აყარება მტრის მიერ შეკრებილი „პოდვოდები". კაგიზმანის ქურთები 13 ოქტომბერს შუადღის შემდეგ თავს დაესხნენ სოფ. ხალმს, მცხოვრებთა დასახმარებლათ გაიგზავნა ჯარები.

ერევანი. 15 ოქტ. სარიყამიშის მიმართულება: ჩვენ მიერ 14 ოქტომბერს დაწყებულ შეტევას თურქებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს სულუდზსკაიას მთის და სოფ. დოლბანდის ხაზზე. რადგან მტერმა მეტად მნიშვნელოვანი რეზერვები მოიშველია, ჩვენი ნაწილები იძულებულნი გახდნენ დაწყებითი მდგომარეობაზე დაბრუნებულიყვნენ.

მერდენეკის მიმართულება: ბრძოლა კანიზის და კოიუნდაგის მთების რაიონში განელდა, ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს წინანდელი პოზიციები.

ორდუბადის მხრივ თათრების ბანდებმა დაიწყეს მოქმედება კაპანის წინააღმდეგ, სადაც ჩვენი მდგომარეობა საკმაოთ მტკიცეა. ამ რაიონში ჩვენებმა დაიჭირეს მთელი რიგი სოფლებისა.

ჩრდილოეთ კავკასიაში

რეპრესიები ინგუშეთში.

ინგუშეთში ბალშევიკებმა იწყეს ე. წ. „კონტრ-რევოლიუციონერთა" დაპატიმრება. დაპატიმრება დიდ უკმაყოფილებას იწვევს მცხოვრებლებში, ვინაიდან ინგუშებს, რომლებიც აღფრთოვანებით შეეგებენ ბალშევიკებს, ვერ წარმოედგინათ, თუ ბალშევიკები რეპრესიებს მიმართავდენ მათ წინააღმდეგ. ბალშევიკები დღეს აშკარათ ლაპარაკობენ, რომ საჭიროა „ინგუშების ალაგმვაო".

(„ვ. გ.").

დაღესტნელები უარს ამბობენ ფრონტებზე წასვლაზე.

ყოფილი მემარცხენე ესერი, ეხლა უკვე კომუნისტათ გადაქცეული—საიდ გაზიევი გაგზავნილი იყო დაღესტანში მთიელებში მობილიზაციის გასატარებლათ. დაღესტანელებმა განუცხადეს გაზიევს, რომ ისინი არ წავლენ ფრონტზე, ვინაიდან, მათის სიტყვით, ბალშევიკებმა მოატყუილეს ისინი: კომუნისტებმა მოსპეს მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. კავკავში ჩამოსვლის შემდეგ გაზიევმა მოხსენება გააკეთა ბალშევიკების კრებაზე დახურულ კარებში, სადაც მან გააცნო საქმის ვითარება და მოითხოვა დიდ-ძალ ფულის გადადება (ნიკოლოზის და „კერენკები") გავლენიან პირების მოსასყიდავათ. თუ ამ ზომამ არ გასჭრა,—მაშინ, გაზიევის აზრით, მთიელებს უნდა მიეცეს თვით გამორკვევის უფლება. („ვ. გ.")

შეტაკება ბალშევიკებსა და დაღესტანელებს შორის.

ბალშევიკების რაზმი, რომელიც ბრძოლას აწარმოებდა აჯანყებულ დაღესტანელების წინააღმდეგ გუნიბის გზაზე,—ანტუხინსკის ფოსტასთან დაამარცხეს. ბალშევიკებმა უკან დაიხიეს და დასტოვეს ბრძოლის ველზე დაჭრილ-დახოცილები. გამარჯვებულებმა ხელთ იგდეს სამხედრო მასალები და იარაღი. თავდამსხმელებს შორის დაღესტანელებს რუსი წითელ არმიელებიც გარდაიყვნენ.

კარლ კაუცკის დაბადების დღე

რედაქციამ კარლ კაუცკის დაბადების დღის გამო მისასალმებელი დეპეშები მიიღო: სენაკიდან—ძველი სენაკელ ამხანაგებისაგან, სამტრედიიდან—ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებისაგან, ფოთიდან ფოთის ფოს.-ტელ. მოსამსახურებისაგან, ფოთის სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტის პრეზიდიუმისაგან. ქუთაისის ახალგაზრდა მარქსისტებისაგან. სამტრედიის ქალაქის კოლექტივისაგან. ფოთის ნავთსადგურის გადამტვირთველ მუშათა პროფესიონალურ კავშირისაგან. მუშათა ცენტრალურ კლუბისაგან. სახალხო უნივერსიტეტისაგან. სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონისაგან. რკინის გზელთა სასწავლო კომიტეტისაგან. ქუთაისის სახალხო გვარდიის შტაბისაგან. ქუთაისის სამაზრო და ქალაქის ს.-დემ. კომიტეტისაგან. ქუთაისის პროფ. კავშ. საბჭოსაგან.

———

კარლ კაუცკის დეპოს და მთავარ სახელოსნოების მუშებმა დაბადების დღის აღსანიშნავათ საგანგებოთ გაკეთებული პატარა ფარკოფელი მიართვეს. სტუმრებმა გერმანულათ მიულოცეს საყვარელ მასწავლებელს დაბადების დღე და აუხსნეს, რომ ფარკოფელის მილოცვაში მათ უნდათ დაინახონ სიმბოლიური კავშირი საქართველოს და ევროპის პროლეტარიატის შორის. კაუცკი და მისი მეუღლე დიდათ კმაყოფილი დარჩნენ და სტუმრები ჩაიზე მიიწვიეს, რომლის დროს მათთან საუბარი ჰქონდათ სახელოსნოებში მუშაობის პირობების შესახებ. სტუმრებს კაუცკი ქართულათ გამოეთხოვა „მშვიდობით", „ნახვამდის" ძახილით.

ბრძანება შინაგან საქმეთა მინისტრისა

ხშირად მომდიოდა ცნობები, რომ ზოგიერთი პირები სხვადასხვა საზოგადო დაწესებულებების სახელით ახდენდენ რეკვიზიციას სურსათ-სანოვაგის და განსაკუთრებით-კი ნახშირისას. ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ამა წლის 8 ოქტ ჩემ მიერ დანიშნულ კვლევა-ძიებით დამტკიცდა, რომ ერთ-ერთ ტყის მცველმა ყარაიაზის ტყის გამგის ბურავიოვის დავალებით დაიჭირა ერთი ურემი ნახშირი, რომელიც უნდა გადასცემოდა გარე უბნის მილიციის უფროსს და რომელთაც წინასწარი მოლაპარაკება ჰქონებიათ ინჟინერ მალიავსკისთან მისთვის ნახშირი ეშოვნათ.

ვსცნობ რა ასეთ მოქმედებას ყოვლად დაუშვებლად, რაიც იწვევს ნახშირის ბაზარზე შემოტანის სრულიად შეწყვეტას და შეაქვს ისედაც გართულებულ ეკონომიურ დარგში არევ-დარევა, ვუცხადებ სასტიკ საყვედურს თფილისის მაზრის მილიციის უფროსს საქმესადმი ასეთ გულ გრილობის გამოჩენის გამო და ვუბრძანებ სასტიკი თვალყური ადევნოს ამ გვარ მოქმედებას და მიიღოს ყოველგვარი კანონიერი ზომები მის მოსასპობათ. გარე უბნის მილიციის უფროსი კი გადაყენებულ იქნას სამსახურიდან, ხოლო ყარაიაზის ტყის გამგის ბურაველიოვის მოქმედება ეცნობოს მიწად-მოქმედების მინისტრს სათანადო განკარგულებისათვის

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

18 ოქტომბერი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბალშევიკური).

სამხედრო ცნობა.

ოქტომბ. 18. პოლოცკის რაიონში ჩვენი ჯარები სახელმწიფო საზღვრებისაკენ იხევს. მინსკის რაიონში პოლონელები განაგრძობენ შემოტევას, რომელსაც ჩვენები იგერიებენ. სლუცკის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს რა მოპირდაპირის შემოტევა, თვით გადავიდენ შეტევაზე და სლუცკის აღმოსავლეთით რამოდენიმე სოფელი აიღეს. ლუნინეცის მიმართულებით ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები სწარმოებს. სარნის მიმართულებით მდინარე აზორტის გასწვრივ შემოტევა მოვიგერიეთ. ნოვგოროდ-ვოლის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ნოვგრა-ვოლინსკზე აღმოსავლეთით და სამხრეთ ამოსავლეთით 10 ვერსის მანძილზე მდებარე სოფლები აიღეს. სტარო-კონსტანტინოვის რაიონში მტერი არტილერიის ცეცხლის ქვეშ დიდი ძალებით აწარმოებს შემოტევას, რომელსაც ჩვენი ნაწილები იგერიებენ. პროსკუროვის რაიონში მკაცრი ბრძოლები სწარმოებს. ლეტიჩევის ფრონტზე სწარმოებს ცვალებადი ხასიათის ბრძოლა. ჩვენ ქალაქ ლეტიჩევი დავიბრუნეთ. ბერისლავის რაიონში ჩვენი ნაწილები განაგრძობენ შეტევას. ნიკოპოლის რაიონში ჩვენი ჯარები შეტევას ნიკოპოლის წინააღმდეგ აწარმოებენ. ალექსანდროვსკის რაიონში დნეპრის მარჯვენა ნაპირზე ალექსანდროვსკზე დასავლეთით და სამხრეთ დასავლეთით 20 ვერსზე მდებარე სოფლები ავიღეთ. სინელნიკოვის რაიონში მოპირდაპირე ჩაპლინო პოლოგის რკინის გზის აღმოსავლეთით შეტევაზე გადმოვიდა. ჩვენმა ნაწილებმა მოკრიე- იმისა და კამლაგაჩის მდინარეთა შორის მდებარე ახალი პოზიციები დაიკავეს.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

ურთიერთ დახმარებაა საჭირო.

ლონდონი. „დეილი მეილი" იუწყება: ბანკების მიერ ბრიუსელის ფინანსიურ კონფერენციაზე გაგზავნილმა გენერი ბელმა განაცხადა, რომ თანამედროვე გაჭირვებულ ფინანსიურ მდგომარეობიდან ერთად ერთ გამოსავალს იგი ხედავს იმაში, რომ სხვადასხვა ერი ერთმანეთს დაეხმაროს, რომელმაც დიდი სესხი გაუხსნა პოლონეთსა და ავსტრიას და ამგვარათ შესაძლებლობა მისცა მათ უზრუნველყოფილნი გამხდარიყვნენ პირველ საჭიროების ნივთებით.

შრომის აკადემია.

ბერლინი. მაინის ფრანკფურტში ამ მოკლე დროში დაარსებული იქნება შრომის აკადემია, რომლის მიზანსაც შეადგენს: მუშების, მოსამსახურეების და წვრილი მოხელეების რჩეულ წარმომადგენლებისათვის იმგვარი განათლების მიცემა, რომ ისინი თავის პროფეს. ორგანიზაციების ღირსეული წევრნი შეიქმნენ.

შეთანხმება ვრანგელსა და პეტლიურას შორის.

„ტანი" იუწყება: გენ. ვრანგელსა და პეტლიურას შორის მოხდა სრული შეთანხმება ბალშევიკების წინააღმდეგ შეტევის გეგმის შემუშავებაში.

ანტი-ბალშევიკური მოძრაობა ხარკოვის და პოლტავის მიდამოებში.

„ტანი" გადმოგვცემს: მოსკოვიდან მიღებულ სარწმუნო წყაროების მიხედვით ხარკოვისა და პოლტავის მიდამოებში ძლიერი ანტი ბალშევიკური მოძრაობა დაწყებულა. ფიქრობენ, რომ შესაძლებელია ხარკოვის ევაკუაცია, რადგანაც სინელნიკოვის ახლო ვრანგელის ჯარებს განზრახული აქვთ აჯანყებულებთან შეერთება.

შეტაკება ყაზახებთან გაგრის მიმართულებით

გენერალური შტაბის ცნობა. 12 ოქტომბერს 5 ათასამდე ყაზახები (მათ შორის ქალები, მოხუცები და ბავშვებიც) ბალშევიკების ჯარების მიერ შევიწროვებულნი მოადგნენ ჩვენს საზღვრებს გაგრა ადლერის რაიონში, მათ, მიუხედავათ გაფრთხილებისა, რომ ჩვენ, თანახმად საბჭოთა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებისა, ვალდებულნი ვართ ისინი გადავსცეთ მას (საბჭოთა რუსეთს), მოისურვეს საქართველოში გადმოსვლა. ამის შესახებ ეცნობა რ. ს. ს. რ. წარმომადგენლობას თფილისში და 17 ოქტომბერს გაგრაში გაემგზავრა შერეული კომისია. ამასობაში 17 ოქტომბერს ნაშუადღევის 3 საათზე კრეისერ „ალმაზს" კომანდირმა ულტიმატიური წინადადება გამოგვიგზავნა, მისთვის ნება დაგვერთო, რომ მას კრეისერზე ყაზახები შეეყვანა: წინააღმდეგ შემთხვევაში ის იმუქრებოდა, რომ იგუმენოვის ნაპირებს სროლას აუტეხდა. ამაზე მე კატეგორიული უარით ვუპასუხე და წერილობით გადავეცი მას, რომ სროლაზე ჩვენც სროლით უპასუხებთ. საღამოს 7½ საათზე იგუმენოვთან მოვიდა ერთი გემი და წყალქვეშა ნავი, რომელთაც აგვიტეხეს სროლა, ნაპირზე გადმოსხდა ტყვიისმფრქვევლებით შეიარაღებული ყაზახები და ბრძოლა დაგვიწყეს. ბრძოლის დროს დაიჭრა მე-2 ბათალიონის ლეიტენანტი მაჭავარიანი და ერთი ჯარისკაცი. სხვების შესახებ ჯერ არაფერი გამორკვეულა. მტერს ებრძვის ჩვენი ბატარეია და ჯარის ნაწილი. გაგზავნილია აგრეთვე დამხმარე ძალა ტყვიისმფრქვევლებით შეიარაღებული. ბრძოლა გრძელდება. ბრძოლის შედეგს ხვალ დილით გამცნობთ. ოქტ. 17. საღამოს 10 საათ და 40 წუთი. პოლკოვნიკი მაჭავარიანი.

მთელი ღამის განმავლობაში ყაზახები გემზე აყავდათ, დილის 4 საათზე გემები უკვე ჰორიზონტზე იყო. ჩვენ დაგვიჭირეს 2 ოფიცერი, მოკლულია 1 მილიციონერი, ერთი აბხაზი და რამოდენიმე ჯარისკაცი. ყაზახთა დანაკლისი დიდია, მაგრამ მათ ყველა დაჭრილი და მკვდარი გემებით წაიღეს. ბნელი ღამისა და ჩვენი ძალთა სიმცირის გამო გემის ყაზახებით დატვირთვას ხელი ვერ შეუშალეთ. ოქტ. 18. დილის 9 საათი და 30 წუთი. პოლკოვნიკი მაჭავარიანი.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია საქ. სოც. დემ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ **დღეს,** საღამოს 7 საათზე მუშათა სასახლეში დანიშნულია საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მორიგი სხდომა.

◆ **საქართველო და რუსეთი.** საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი გერასიმე მახარაძე 10 ოქტომბერს მოსკოვში ჩავიდა.

— რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლათ საქართველოში კიროვის ნაცვლად დაინიშნა შეიმანი, რომელიც 12 ოქტომბერს გამოემგზავრა მოსკოვიდან საქართველოსაკენ.

◆ **ქალაქის საბჭოში.** თფილისის ქალაქის სამხედრო განყოფილების მიერ გამოქვეყნებულია 1900 წელში დაბადებულთა სია. გამოქვეყნებულია აგრეთვე სია იმ პირთა, რომელნიც შეტანილნი უნდა ყოფილიყვნენ სათანადო კომისარიატების მიერ ჯარში გასაწვევ სიებში მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო არ იყვნენ გაწვეულნი. ამ პირთა გვარები არ არის შეტანილი იმ მიზეზით, რომ ისინი ვერ მოძებნა კომისარიატმა, თვითონ კი არ გამოცხადდენ. ამიტომ ქალაქის საბჭო ყველა საზოგადო, სახელმწიფო და კერძო პირს წინადადებას აძლევს, აცნობონ ქალაქის საბჭოს სამხედრო განყოფილებას ბინადრობა იმ პირთა, რომლებიც ამ სიებში არის აღნიშნული.

◆ **სასურსათო საქმე.** ნიხრის შეცვლა. საბჭოს სასურ. კომ. ნიხრში შემდეგი ცვლილება შეიტანა: წითელი ლობიო გირვანქა ღირება—25 მან., გურიის—26 მან., თეთრი—27 მან., ხახვი გირ.—15 მან., კარტოფილი გირ.—15 მან., კომბოსტო გირ.—5 მან., ხის ნახშირი ფუთი—360 მან., შეშის შესახებ ნიხრის მე-3-ე მუხლში შემდეგი ცვლილება არის შეტანილი: მეორე რაიონში—700 მან., მესამე რაიონში—1000 მან., მეოთხე რაიონში—1400 მან.

◆ **ზეთის მრეწველობა საქართველოში.** „ქირომაისის" სააქციონერო საზოგადოებამ ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს მიმართა შუამდგომლობით საქართველოს საზღვრებიდან თხილის გატანის აღკრძალვის შესახებ. შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ზეთის მრეწველობამ დაჰკარგა ბაზარი, რომელიც მას ნედლ მასალას აწვდიდა. ამიტომ იყო ცდა თხილიდან ზეთის გაკეთებისა. ამ ცდის შედეგი იყო ის, რომ თხილიდან საუცხოვო ხარისხის ზეთი გამოვიდა. „ქირომაისის" საზოგადოებამ გადასწყვიტა დაიწყოს [illegible] ზეთის კეთება. ამიტომ [illegible] ფრიად დაინტერესებულია შემდეგი საკითხით: უზრუნველყოფილია თუ არა რესპუბლიკა საკმაო ნედლი მასალით. საზოგადოება შუამდგომლობს რესპუბლიკიდან თხილის გატანის აღკრძალვისა და მის საქართველოში შემოტანის ნებართვის შესახებ.

◆ **მომარაგების სამინისტროში.** მომარაგების სამინისტრო განმარტებას იძლევა იმ განცხადების გამო, რომელიც მატყლის გაყიდვას შეეხებოდა. 1) რამდენ ორგანიზაციის ხელშიც არ უნდა გაიაროს მატყლმა, მომხმარებელს იგი უნდა მიეყიდოს განცხადებულ ფასებზე 10 პროცენტისა და გადმოტანის ხარჯების დამატებით. 2) კოოპერატივებმა როგორც თავის წევრებს, ისე არა წევრებს მატყლი ერთგვარ პირობებში უნდა მიჰყიდოს.

◆ **ტარიფი მარგანეცზე.** მთავრობამ ოქტომბრის 12 სხდომაზე დაადგინა გაადიდოს ჭიათურის მარგანეცის გადასატანი ტარიფი ოთხჯერ, ესე იგი არსებულ 10 მან. და 70 კაპ. მაგივრად დაწესდეს 43 მან. ფოთამდე და ბათომამდე წინაამდეგ 11 მან. 37 კ. დაწესდეს 46 მან. ახალი ტარიფი ძალაში ოქტ. 16-დან შედის.

◆ **სახალხო განათლების სამინისტროში.** სახალხო განათლების სამინისტრომ დაამტკიცა სავაჭრო-სამრეწველო პალატის კომერციულ სასწავლებლის წესდება.

◆ **სვანეთის დელეგაცია.** 17 ოქტომბერს თფილისში ჩამოვიდა სვანეთის დელეგაცია ბ. ეგნატე გაბლიანის მეთაურობით. დელეგაციის მიზანია ინახულოს მთავრობის წევრები და აუხსნას მათ სვანეთის მდგომარეობა.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საყურადღებოთ.** სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა აცხადებს ძველ და ახლად ჩარიცხულ სტუდენტ-მსმენელთა საყურადღებოთ, რომ ვისაც ოქტომბრის 20 დე არ ექნება ლექციებზე შესასვლელი ბილეთი მიღებული, მას ლექციებზე არ შეუშვებენ და მერმე არც შესასვლელი ბილეთი მიეცემა.

◆ **ჟურ. „ჯეჯილი".** რედაქციამ მიიღო ჟურნალი „ჯეჯილი"-ს მორიგი მეხუთე ნომერი (მაისის, ივნისის და ივლისის). ჟურ. „ჯეჯილი"-ს რედაქცია აცხადებს, რომ შემდეგი ნომრები მხოლოდ იმათ გაეგზავნებათ, ვინც დამატებითი 400 მ. მიაწოდებს რედაქციას, რადგან ათ თუმანში ქაღალდის და დაბეჭვდის ზღაპრულ სიძვირის გამო ჟურნალის მიწოდება შეუძლებლათ მიაჩნია.

◆ **ახალგაზრდა მარქსისტა შორის.** ოთხშაბათს, 20 ოქტომბერს ცენტრალურ კომიტეტის ახალ ბინაზე შესდგება ცეკას, საკონტროლო კომისიისა და ყველა რაიონების წარმომადგენელთა გაერთიანებული საგანგებო სხდომა. ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

◆ **სწავლის დაწყება.** მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო სამეურნეო უმაღლეს კურსებზე მეცადინეობა დაიწყება ოთხშაბათს, 20 ოქტომბერს ნაშუადღევს 5 საათზე (პეტრე დიდის ქუჩა № 22).

◆ **კომპოზიტორი დ. ი. არაყიშვილი** სწერს მუსიკას შანშიაშვილის პიესა „ბერდოზმანიასათვის". პიესა დაიდგმება სახელმწიფო დრამატიულ თეატრში ნოემბრის ბოლო რიცხვებში.

კრებები.

— დღეს, საღ. 7 საათზე დანიშნულია ახალგაზრდა მარქსისტთა მეოთხე

ეკონომიური თათბირი

(გაგრძელება)

წარმოების განვითარების სფეროში ჩვენ უდიდესი პერსპექტივები გვაქვს. საქართველო მდიდარია სხვადასხვა გვარი მადნეულობით, ხეტყით და სხვა. მას ბლომათ მოეპოვება სათბობი მასალა. ეს ორი გარემოებაა სწორეთ თანამედროვე წარმოების საძირკველი.

ჩვენში თითო ოროლა საწარმოო დაწესებულება არსებობს. ზოგს ახლა ეყრება საძირკველი. განსაკუთრებით ამ მხრივ ერობები და ქალაქები მეცადინეობენ. ეს ძლიერ კარგია, მაგრამ მათ საქმიანობას ახლავს ცუდი მხარეც, რომელსაც ბოლო უნდა მოეღოს.

წარმოების გახსნა მოდათ გადაიქცა. ყველა მწარმოებლის როლში გამოდის, ყველა ქარხანას ან სახელოსნოს აარსებს. ამას ხშირათ წინ არ უძღვის წარმოების პირობების სერიოზული შესწავლა, ნაწარმოების გასაღებაზე ფიქრი, არ ყავთ მცოდნე ხალხი და სპეციალისტები. და რაც უმთავრესია ერთის მოქმედება არ არის მეორესთან დაკავშირებული და შეთანხმებული. მაგალითად, საქართველოში არასოდეს არ ყოფილა იმდენი საპნის ქარხანა, რამდენიც ახლა არის. ვგონებ ყველა ერობა, ყველა კოოპერატივი თავის წმინდა მოვალეობად სთვლის თითო საპნის ქარხანა მაინც გახსნას.

მერე რა გამოვიდა აქედან. ერთ თვეს რომ მუშაობს ქარხანა, თერთმეტ თვეს გაჩერებულია. ამას ჩვენ ვეძახით ადამიანის ძალის, ფულისა და საწარმოო საშუალებათა გაფლანგვას.

გვაქვს ჩვენ ამის უფლება, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში?

რასაკვირველია არა.

სახელმწიფოსა და ერობის ეკონომიური მოღვაწეობა უნდა წავახალისოთ. ეს ეჭვს გარეშეა. მაგრამ საჭიროა გაერთიანება მათი საწარმოო მოღვაწეობის და განსაზღვრული გეგმით მუშაობა. ეს მთლიანობის პრინციპი უნდა დავიცვათ აგრეთვე კერძო პირთა წარმოების მიმართ, ე. ი. სახელმწიფოს მხრივ უნდა არსებობდეს და ხორციელდებოდა უმაღლესი კონტროლი წარმოებასა და ეღებმიცემობაში. არ არის დღეს ისეთი ქვეყანა, რომ ეს ამა თუ იმ სახით განხორციელებული არ იყოს. შეუზღუდველი სრულიად თავისუფალი მოქმედების დრო ისტორიას ჩაბარდა. ამას კარგად გრძნობენ დღეს თვით არქიბურჟუაზიული მთავრობანი და ამიტომ არც ერიდებიან კერძო პირთა მოქმედებაში ჩარევას იქ, სადაც ამას, მათი წარმოდგენით სახელმწიფოსათვის სარგებელი მოაქვს.

უმაღლესი კონტროლის გასატარებლად და ქვეყნის საწარმოო მოღვაწეობის გასაერთიანებლად მოწოდებულია ის **ეკონომიური საბჭო**, რომლის აუცილებლობა ახლა ყველას მიერ აღიარებულია.

საჭიროა მხოლოდ მისი დაარსება დაჩქარდეს.

ეს ეკონომიური საბჭო არ უნდა იყოს მარტო სათათბირო ორგანო. მას უნდა მივცეთ მომქმედი ცოცხალი დაწესებულების ხასიათი და აღვჭურვოთ ისეთი უფლებით, რომ მის საერთო დირექტივებსა და დაგენილებებს ყველა ემორჩილებოდეს.

სამრეწველო მოღვაწეობის გასაცხოველებლად აუცილებელია სამრეწველო სესხის გაფართოვება. ეს სესხი უნდა მიეცეს, როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო პირებსაც, თუ მათი წარმოება საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობისაა. ჩვენ ჯერ არ მიგვიღწევია ეკონომიურ განვითარების იმ საფეხურამდე, სადაც ყველაფერის გაკეთება შესძლებს სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებები. ამიტომ კერძო ინიციატივას როცა ის ქვეყნის ეკონომიურად განმტკიცებას შველის, უეჭველად გასავალი უნდა მიეცეს.

ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვაძლევთ სასოფლო მეურნეობის იმ დარგების გამობრუნებას, რომელნიც საქართველოს სახალხო მეურნეობაში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ, მაგრამ ომისა და საერთო არევ-დარევის გამო ახლა დაცემულია. ასეთია მაგალითად, მეაბრეშუმეობა, თამბაქოს მოშენება. მევენახეობა, მეცხვარეობა და სხვ.

საჭიროა წარმოების ახალი დარგების მოწყობა. საამისო პირობები ჩვენში არსებობს, მაგალითად საქართველოში ადვილად შეიძლება გაიმართოს საფეიქრო წარმოება, ქაღალდის დამზადება, გრეხილ ავეჯეულობის კეთება და სხვ. და სხვა.

მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა უკვე არსებული საწარმოო დარგების ხელის შეწყობა, მათი დაკმაყოფილება მანქანებით, სპეციალისტებით და ნედლი მასალით. ამიტომ უცხოეთიდან შემოტანილ საქონელთა შორის უპირატესობა უსათუოდ საწარმოო საშუალებებს უნდა მიეცეს.

ეს პოლიტიკა ჩვენ მტკიცედ უნდა გავატაროთ.

ჩვენ მეტად ღარიბი ვართ სპეციალისტებით. ამიტომ აუცილებელია, როგორც მათი უცხოეთიდან მოყვანა, ისე პრაქტიკული სასწავლებლებისა და კურსების გამრავლება მცოდნე ხალხის მოსამზადებლად.

დიდი მნიშვნელობა ექნება მთელი რესპუბლიკის ქარხნების, ფაბრიკების, სახელოსნოებისა და მანქანების აღწერას, რაც დაჩქარებით უნდა მოხდეს. როცა გვეცოდინება რა გვაქვს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ რის გაკეთებას მოვახერხებთ.

დასასრულ, სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს უცხო კაპიტალის შემოსვლას, რამდენათაც ეს უკანასკნელი ადგილობრივ წარმოების გაჩაღებას დაისახავს მიზნათ.

ფინანსები

მაგრამ ჩამოთვლილი ზომებით არ უნდა ამოიწუროს, ის პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა მიღება საჭიროა ეკონომიური და ფინანსიური კრიზისის გასანელებლად.

როგორც უკვე მოვიხსენიეთ, ჩვენი ბონები ფულის ნიშნების მხოლოდ სუროგატია. მას რეალური უზრუნველყოფა აკლია თან მისი საფუძველი, თუ რეალურათ არა, ისტორიულათ მაინც რუსეთის მანეთიანია.

უნდა მოისპოს ეს არა-ნორმალური მდგომარეობა და ბოლოს უნდა შევქმნათ საკუთარი ფულის სისტემა, ხოლო ამისთვის საჭირო იქნება მისი რეალური ღირებულების უზრუნველყოფა. ასეთი რეალური ღირებულება ჩვენში მოიპოვება. სახელმწიფომ მას ხელი უნდა ჩასჭიდოს.

მაგრამ ამ ზომას მაშინ ექნება აზრი და მნიშვნელობა, თუ ქაღალდის ფულისა და მისი რეალური უზრუნველმყოფ ღირებულების შორის მუდამ დაცული იქნება ერთგვარი პროპორცია. ამისთვის კი **საჭიროა ქაღალდის ფულის რაოდენობა სასტიკათ განისაზღვროს**, და როგორც ზევითა ვსთქვით, საბეჭდავი მანქანა არ გადაიქცეს დეფიციტის დასაფარ წყაროთ. ხოლო ამ შემთხვევაში ექნება ქაღალდის ფულის ნიშნების უზრუნველყოფას გავლენა მის კურსზე და საერთოთ ჩვენი ფინანსების მდგომარეობაზე.

ჩვენში დარჩნენ და მოქმედებას განაგრძობენ რუსეთის ძველი ფინანსიური დაწესებულებები. ყველა ისინი მოწყდენ თავის ცენტრს. არავითარი საჭიროება მათ არსებობაში არ არის. ისინი მხოლოდ სპეკულიაციას აძლიერებენ და ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში პირდაპირ პარაზიტულ როლს თამაშობენ.

ეს დაწესებულებები უნდა დაიხურონ.

ბანკები და კანტორები ჩვენში სპეკულიაციის ბუდეთ გადაიქცნენ. ხალხი გმინავს მათი ბნელი ოპერაციების მძიმე შედეგების გამო.

საჭიროა მათ მიმართ სასტიკი კონტროლის დაწესება და გატარება.

ვალიუტის საკითხი.

მაგრამ სპეკულიაცია ხდება არა მარტო საქონელზე. უცხოეთის ვალიუტა ისეთივე სასპეკულიაციო საგანი შეიქნა, როგორც პური და მანუფაქტურა. მრავალი სპეკულიანტი თფილისსა და ბათომში მხოლოდ ვალიუტის კურსზე თამაშით ცხოვრობს და მილიონობით იძენს.

გამეფებულ კრიზისთან საბრძოლველ საშუალებათა სისტემაში ვალიუტის საკითხის მოგვარებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ყოვლად დაუშვებელია, რომ სავალიუტო ოპერაციებს ასეთ დროს კერძო ბაზარი ახდენდეს. ეს საქმე სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის ხელში.

სავალიუტო ოპერაციებს მხოლოდ სახელმწიფო ბანკი და მის მიერ არჩეული საკრედიტო დაწესებულებები უნდა აწარმოებდენ.

ამისთვის სახელმწიფო ბანკს უნდა მიეცეს სავალიუტო ფონდი.

სახელმწიფო ბანკის გამოსვლა ამ ასპარეზზე თვით ვაჭარ-მრეწველთა წრეებისათვისაც ხელსაყრელი და სასარგებლო იქნება. მათ საშუალება მიეცემათ უფრო მეტი სისწორით გამოარკვიონ ვალიუტის კურსი და არ იქნან სავსებით დამოკიდებულნი სპეკულიანტთა გაუმაძღარ მადისაგან.

სახელმწიფო ბანკი ბაზრის საერთო პირობების მიხედვით დააწესებს კურსს ყოველ განსაზღვრულ დროისთვის.

აქედან აუცილებლათ გამომდინარეობს ის, რომ ვალიუტის ოპერაციებში არ ერეოდეს არც ერთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულება. ახლა კი ყველა ვაჭრობს, ყველა ვალიუტას ეძებს და იძენს. და ვინაიდან ეს ხდება ბრმათ, უხეიროთ, არავინ ითვალისწინებს ფულის ბაზრის მდგომარეობას. ხშირათ უკანასკნელს დიდ მოთხოვნილებებს უყენებენ. ამიტომ თვით ეს დაწესებულებები არა მცირედ როლს თამაშობენ ჩვენი ბონების კურსის დაცემაში.

ამ ვაკხანალიას ბოლო უნდა მოეღოს და მოწესრიგებულ სავაჭროების კანონებს ისინიც ისევე უნდა დაემორჩილონ, როგორც ყველა დანარჩენი

საგარეო ვაჭრობა რომ არ შეფერხდეს, სახელმწიფო ბანკისათვის, რომელიც სავალიუტო ოპერაციებს აწარმოებს. საჭირო იქნება გავლენიან უცხოელ ბანკთან შეთანხმება და ამ გზით ევროპის დიდ ცენტრებში კორესპონდენტების გაჩენა.

ამასთან ერთად ჩვენში ყიდვა-გაყიდვა და ანგარიშის გასწორება **უსათუოთ ჩვენი ფულებით უნდა ხდებოდეს**. დაუშვებელი და ფინანსიური მოსაზრებით მიუღებელია ის, რაც ახლა ხდება: ჩვენ საქონელში აქ უცხო ვალიუტას ვთხოულობთ. ერთი მიზეზთაგანი ჩვენი ფულის გაიაფებისა უეჭველათ ეს-ეც არის. სხვა რომ არა იყოს-რა, ფსიხოლოგიურათაც დაუშვებელია ჩვენს ფულს ჩვენვე ვუცხადებდეთ უნდობლობას.

საგარეო ვაჭრობა.

მაგრამ დიდზე უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს სავაჭრო ბალანსის გამოსწორებას. ფინანსთა სამინისტროს ცნობით 1919 წლის მაისიდან ჩვენში შემოუტანიათ 483,866,096 მ. საქონელი, ხოლო 1920 წლის აპრილამდე გაუტანიათ 526,342,414 მანეთ სა. დეფიციტი 856,723,680 მანეთს უდრის. შეიძლება ეს გადამეტებულია, ვინაიდან აქ არ არის ნაანგარიშები ის 11 მილიონი ფუთი მარგანეცი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში უცხოეთში გაიზიდა. თუ ამას მიუმატებთ, მაშინ დეფიციტი ასეთი დიდი აღარ იქნება. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის უდაო გარემოება, რომ ჩვენ არც წინეთ და მით უფრო არც ახლა ნორმალური ეკონომიური ცხოვრებით არ ვსცხოვრობთ. ჩვენ ვერ შემოგვიტანია უცხოეთიდან უსაჭიროესი საქონელი, როგორიც არის სამეურნეო იარაღი, რკინის გზების მასალა, მანუფაქტურა, წამლები და სხვ. ჩვენი საჭიროება ფაქტიურათ გაცილებით მეტი იყო, ვინემ მისი რეალური დაკმაყოფილება. ცხადია, თუ ყველა უსაჭიროეს მოთხოვნილებებს დავიკმაყოფილებთ, ჩვენი საგარეო სავაჭრო ბალანსი პასიური იქნება.

რა არის ამისათვის საჭირო?

პირველ ყოვლისა, **უნდა აიკრძალოს და ცხოვრებაში სასტიკათ გატარდეს ყოველგვარი ფუფუნების საგნების შემოტანა.** დღეს საიმპორტო საქონლის უმეტესი ნაწილი სწორეთ ეს ფუფუნების საგნები შეადგენენ. საბოლოო ანგარიშით ამ საგნებში ჩვენ ოქროს, ე. ი. ჩვენს სავალიუტო საქონელს ვაძლევთ.

ამიტომ უცხოეთიდან შემოტანილ საქონელს ფხიზელი თვალით უნდა ვსინჯავდეთ. თვით საჭირო საგნებში განსხვავება უნდა დაუშვათ. საქონელი უნდა გავარჩიოთ მისი აუცილებლობის მიხედვით და პირველ რიგზე, როგორც უკვე ვსთქვით, საწარმოო საშუალებები უნდა დავაყენოთ. საქართველო ისეთ მდგომარეობაშია დღეს, რომ მას მართებს ზოგიერთი საჭირო საგნების შემოტანაზედაც კი ერთხანათ შეგნებულათ თავი შეიკავოს. ამას გვეკარნახებს ეხლანდელი საშინელი ფინანსიური კრიზისი. როგორც გიჭირდეს, ისე გილხან-

ივერიელი

რაიონული კოლექტივის სასწრაფო სხდომა.

— დღეს, საღ. 8 საათზე დანიშნულია მეოთხე რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა სამეცნიერო წრის მორიგი მეცადინეობა.

— დღეს საღ. 8 საათზე დანიშნულია ვერის გამრთობ ს-ბის გამგეობის მორიგი სხდომა.

— კვირას, 24 ოქტომბერს თფილისის მაზრის სოც. დემ. კომიტეტის პრეზიდიუმი იწვევს სამაზრო კომიტეტის სხდომას. კომიტეტის წევრების დასწრება აუცილებელია. სხდომა გაიხსნება დილის 10 საათზედ „ერთობის" რედაქციის ბინა ზემო სართულში.

— დღეს, საღამოს 5 ს. რკინის გზის სამმართველოში ამავე სამმართველოს მცირე კოლექტივი იწვევს ყველა თავის წევრების საზოგადო პარტიულ კრებას რომელზედაც ამხ. კოწია გვარჯალაძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მუშათა მოძრაობა ევროპაში".

პროვინციის ქრონიკა.

ლანჩხუთი. ოქტ. 12. მოქმედება დაიწყო ქალაქის ელექტრიულმა სადგურმა და ქალაქის ელექტრიულმა წისქვილმა. თავდება აგრეთვე მუშაობა ქალაქის სახერხ ქარხნის მოწყობისა. ქალაქის თავის ხარჯზე მცხოვრებთათვის კინემატოგრაფს აწყობს.

სიღნაღი. ოქტ. 13. სიღნაღის სამაზრო ერობის თვითმართველობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა თხოვნით, რათა მან მთავრობის წინაშე აღძრას შუამდგომლობა იმ მიზნით, რომ სიღნაღის ერობას სესხის სახით მისცენ 15 მილიონი. ამ ფულით ერობა დაეხმარება სიღნაღის მაზრის მცხოვრებთ, რომელნიც სტიქიურ მოვლენათაგან დაზარალდენ.

ახალციხე. ოქტ. 12. ამ დღეებში მოქმედებას დაიწყებს სახერხი ქარხანა, რომელიც ახალციხის ერობამ 1.800.000 მან. შეიძინა

— სამაზრო ერობა საკუთარ შენობაში გადადის. ამ შენობაში, რომელიც სამი სართულისაგან შესდგება, იქნება აგრეთვე ერობის ცენტრალური საწყობები და საზეინკლო სახელოსნო. ერობას სურს საბოლოოდ მოაწყოს ნორმალური მიმოსვლა ბორჯომ ახალციხე-აბასთუმნის შარა გზით.

უცხოეთი

ჰოლანდია.

ბოლშევიზმი და პროფესიონალური ინტერნაციონალი. ჰოლანდიის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარემ და პროფესიონალურ ინტერნაციონალის მდივანმა უდეგეესტმა წერილი მოათავსა ამსტერდამის სოციალისტურ გაზეთ „ჰეტ ფოლკ"-ში, რომელშიაც იგი დასცინის ბურჟუაზიის შიშს ბოლშევიზმის წინაშე. ამ შიშის გავლენის ქვეშ, ამბობს უდეგეესტი, ბურჟუაზია ჰკიცხავს პროფესიონალურ ინტერნაციონალის მოწოდებას იმის შესახებ, რათა ევროპის სახელმწიფოების მთავრობებმა არ გაუწიონ დახმარება პოლონეთს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. უდეგეესტი უარყოფს ბურჟუაზიის მტკიცებას, თითქოს ინტერნაციონალი თანაუგრძნობდეს ბოლშევიზმს და ამბობს: პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ბიურო არ თანაუგრძნობს ბოლშევიზმს, მაგრამ არც ეშინია მისი. ბოლშევიზმი გარდამავალი მოვლენაა ისტორიაში და მას მხოლოდ იმ ქვეყნებში შეუძლია გავრცელდეს, რომლებიც პოლიტიკურათ მოუწყობელნი არიან. ბოლშევიზმი გასავალს ვერ ნახავს ცოტათ, თუ ბევრათ პარლამენტარულად მოწყობილ და ეკონომიურათ გამაგრებულ ქვეყნებში. მაგრამ თუ ინგლისი და განსაკუთრებით საფრანგეთი კვლავ განაგრძობენ თავიანთ პოლიტიკას უნგრეთში, პოლონეთში და ბალკანეთის ზოგიერთ სახელმწიფოებში; თუ საფრანგეთი განაგრძობს შექმნას ანარქია, რომელიც დაღუპავს ევროპას,—მაშინ რამდენიმე სასტიკ დიქტატორთა საფრთხე თვალ წინ დაუდგება ევროპის განათლებულ ქვეყნებსაც. შემდეგ უდეგეესტი აღნიშნავს, რომ ქვეყნის პოლიტიკას განაგებენ არა ეგრ. წოდებული სახელმწიფო მოღვაწენი—მილიერანი, ლოიდ-ჯორჯი და სხვა, არამედ კაპიტალის წარმომადგენელნი ატრიალებენ ქვეყნის საქმეებს,— ფირმების პატრონები—კოკერილი, ამსტრონგი და სტინესი. საინტერესო იქნებოდა, ამბობს უდეგეესტი, გამოქვეყნებულიყო მჭიდრო მოწერა დასახელებულ ფირმებსა და ევროპის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, რომელიც ნათელს მოჰფენდა ბევრ ბნელ საქმეებს.

ავსტრია და უნგრეთი.

დ-მა რენნერმა წარმოსთქვა სიტყვა ავსტრიისა და უნგრეთის დამოკიდებულების შესახებ. ამ სიტყვაში მან განაცხადა: ზოგიერთი უნგრეთის წრეებს სურთ თავის 1000 წლიან მფლობელობის ტერიტორიულ საზღვრების აღდგენა, მაგრამ ეს შეუძლებელია შეტაკებების და ომების გარეშე, პირველად ყოვლისა ჩეხებთან. ვერსალის ხელშეკრულებამ გადააქცია საშუალო ევროპა ბალკანეთად, ცეცხლმა შეიძლება ყოველ წუთში იფეთქოს. გერმანიის ავსტრიას აქვს მხოლოდ ერთი სურვილი, თავი დააღწიოს ცეცხლ მოდებული სახლიდან. ჩვენ არა გვსურს არავითარი შეტაკება მეზობლებთან; ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ ჩვენთვის და გვსურს მხოლოდ მშვიდობიანობა.

იტალია.

იტალიის სოციალისტები და მოსკოვის ინტერნაციონალი. გაზეთ „ჟურნალე დიტალია"-ს თანამშრომლის კითხვებზე—იტალიის სოციალისტების მესამე ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ — ცნობილმა იტალიელმა სოციალისტმა ტურატიმ უპასუხა, რომ ამ საკითხზე მსჯელობის დროს საჭიროა მიღებულ იქნეს მხედველობაში კომუნისტების რიცხვი იტალიაში. პარლამენტის ფრაქციის ცხრამეთედს და მუშებსაც, როგორც ამას გვიჩვენებს მოძრაობა მეტალურგიულ მუშების შორის, არავითარი საერთო არა აქვთ კომუნისტებთან. იტალიის სოციალისტები არ მისცემენ არავის ნებას, რომ გადააქციონ თავისი თავი მოსკოვის უბრალო დამატებათ და დარჩებიან ერთგულნი ბოლონის კონგრესის გადაწყვეტილებისა.

პროგრამა პროფესიონალურ საქმეთა საერთაშორისო ყრილობისა. ჰოლანდიის გაზეთები იტყობინებიან, რომ ჰოლანდიაში მოწვეულ პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ყრილობაზე სურსათ-სანოვაგის, სათბობი მასალის და ნედლეულობის საერთაშორისო განაწილების საკითხთან ერთად გაირჩევა აგრეთვე სავალუტო საკითხი და საკითხი წარმოების სოციალიზაციის შესახებ.

სპარსეთში.

ბოლშევიკები და კუჩუკ-ხანი.

ბოლშევიკები ჯერჯერობით ისევ ენზელში რჩებიან. მათ ენზელი უნდათ გადააქციონ ბაზათ თავიანთ მომავალ მოქმედებისთვის აღმოსავლეთში. მომავალ მოქმედებებს ბოლშევიკები უკავშირებენ იმ მომენტს, როდესაც კომუნისტები ქემალისტებს შეუერთდებიან. ბაქოს კომუნისტებში ისეთი შეხედულებაა გავრცელებული, რომ სპარსეთში დაშვებულ შეცდომების გამოსწორება შეიძლება ან თურქების დახმარებით, ან-და ახალ შეთანხმებით კუჩუკ ხანთან. ენზელიდან ჩამოსული პირები გადმოგვცემენ, რომ კუჩუკ ხანს ხელახლა წარუდგა ბოლშევიკების დელეგაცია, რომელმაც წინადადება მისცა შეუთანხმდეს საბჭოთა ჯარებს. კუჩუკ-ხანი უარს აცხადებს ყოველგვარ მოლაპარაკებაზე მანამდე, სანამ მტკიცე გარანტია არ იქნება იმისი, რომ სპარსეთში მყოფი საბჭოების წარმომადგენლები და სპარსეთის კომუნ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

უთანხმოებამ კუჩუკ-ხანსა და სპარსეთის კომუნისტებს შორის პრინციპიალური ხასიათი მიიღო. პირველი ჰფიქრობს, რომ შეუძლებელია სპარსეთში განმეორებულ იქნეს „რუსეთის ექსპერიმენტი". მისი აზრით ამისთვის სპარსეთი არ არის მომზადებული. კომუნისტები კი ამბობენ, რომ ისინი რევოლიუციონერობით სრულიადაც არ ჩამორჩებიან თავიანთ რუსეთელ ამხანაგებს. ამ უთანხმოებას ბოლო არ უჩანს. კუჩუკ-ხანი მხოლოდ მაშინ შეუთანხმდება კომუნისტებს, თუ ისინი უარს იტყვიან თავიანთ წინანდელ პოლიტიკაზე სპარსეთში. კუჩუკ ხანის გარეშე ბოლშევიკებს სპარსეთში არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ; ამას ისინი კარგათ გრძნობენ; მაგრამ, რათა მათი „პრესტიჟი" არ დაეცეს,—ისინი ვერ ბედავენ ერთხელ აღებულ გზის შეცვლას. თავის მხრივ „მოქმედების საბჭო", რომელიც აღმოსავლეთის ხალხთა წარმომადგენლების ყრილობაზე შექმნეს, ყოველგვარ ზომებს იღებს, რათა შეთანხმება მოხდეს სპარსელ კომუნისტებსა და კუჩუკ ხანს შორის. („ვ. გ.").

მზისკენ

როცა ზეცას ავარაყებს
მზის სიცილი, მზის კაშკაში,
და ხმელეთიც ოქროს ფერად
    ბზინავს,
    ბრწყინავს,
    სხივთა ზღვაში,—
მეც სიმღერით მივისწრაფი
სანივარდო ვარდის ცაში;
დედა-მიწა ამომძახის:
გენაცვალე მაგ ტკბილ ხმაში!

—

ჩემი ვედრება

ღმერთო, მაღალო! მხურვალე ლოცვით
შემოგავედრებ სამშობლოს ჩემსა:
შენ უწინამძღვრე ამ პაწია ნავს
და ნუ შეახლი დამღუპველ გემსა.
ღმერთო! ისმინე ვედრება ჩემი:
გადაარჩინე ქართველი ერი,
რომ განახლებულ სხვა ერთა შორის
სცხოვრობდეს იგიც, სვე-ბედნიერი.

—

ელეგია

შემოდგომაა. მჭკნარი ფოთლები
სწყდებიან ტოტებს, სწყდებიან ხეებს;
გული მიტირის და ცრემლით ვითვლი
ჩემი სიცოცხლის მიმავალ დღეებს.
შემოდგომაა და ჩემი სულიც
ააკანკალა ფოთლების თოვამ;—
შემოდგომაა და ჩემი ჩანგიც
ააქვითინა ბუნების გლოვამ.

გ. ქუჩიშვილი.

ბათომი

— **ხიდების გაკეთება.** ინჟინერმა ბ-ნმა გიორგობიანმა წინადადება მიიღო საგანგებო კომისარისაგან შეუდგეს ყოროლისთავის და ორთაბათომის ხიდების გაკეთებას. მუშაობისთვის ინჟინერი თანხას მიიღებს იმ ჯარიმიდან, რომელიც სოფლებს გადახდა.

— **ბინის საკითხი.** ადმინისტრაციის მეთაური პოლკოვნიკი ვ. სულაქველიძე საბინაო კომისიას აუწყებს, რომ ბათომში სამილიციო და ოლქის საადმინისტრაციო სამმართველოები უაღრესად შეუფერებელ შენობებშია მოთავსებული, ალაგ-ალაგ შენობის ჩამონგრევაც არის მოსალოდნელი და ითხოვს სასწრაფოდ მათთვის შესაფერ ბინების მიცემას.

— **სპეკულიანტების გაძევება.** განათავისუფლებული და რესპუბ. საზღვრებიდან გაძევებულნი იქნებიან შემდეგი სპეკულიანტები: ნოვიცკი, პეჩერსკი, როზენბერგი, კობრინსკი, აპოსტოლიდი, გურალნიკი, ხეიფეცი, ჩემბერჯი, ხარლამპიდი, გ. და ე. ტახის და ცუხნიკასი.

— **შავი ჭირი** თანდათან კლებულობს ბათომში. აგერ მეორე კვირაა არავინ გამხდარა ავათ.

— **სასკოლო საქმე.** წელს ქალაქის სკოლებს დიდძალი მოსწავლეები მოაწყდა, განსაკუთრებით ბერძნები და სომხები. ბერძნებმა თავიანთი სკოლა დაკეტეს, სადაც ექვსას ორმოცამდე ყმაწვილი სწავლობდა, ასე მოიქცენ სომხებიც.

თუ წინათ მთელი თორმეტი წლის განმავლობაში ქალაქს შეეძლო გაეხსნა ახალი კომპლექტები: სომხებისათვის ექვსი და ბერძნებისათვის 7, ეხლა საჭირო შეიქნა ერთბაშად ბერძნებისათვის ათი და სომხებისათვის ექვსი. ამ გარემოებამ მეტად გაართულა სასკოლო საქმეები და ქალაქის გამგეობა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. ერთის მხრივ საქმე გაართულა სკოლებისათვის გამოსადეგარ და საკმაო ბინის უქონლობამ და მეორე მხრით კი ქალაქის ფინანსიურმა კრიზისმა.

ქალაქის გამგეობამ ყოველივე ღონე იღონა რომ ბავშვები სკოლის გარეთ არ დარჩენილიყვნენ, ამისათვის მან გადაწყვიტა გაეხსნა ჯერ-ჯერობით: ბერძნებისათვის ხუთ კომპლექტიანი, ქართველებისათვის ხუთ კომპლექტ. და სომხებისათვის ხუთ კომპლექტიანი. შესაფერი დადგენილება ამის შესახებ უკვე მიღებულია ქალაქის საბჭოსაგან. ახალ სკოლების გახსნას ძალიან აფერხებს შესაფერ ბინების უქონლობა.

მარგანეცის ექსპორტი

თანახმად ფინანსთა სამინისტროს ცნობებისა 1919 წლის დეკემბრიდან საზოგადოება „ჩემოს" 226,677 ტონი მარგანეცი გაუყიდია. გასული წლის დეკემბერში გაუყიდია: 9,555 ტონი, თებერვალში—21,700 ტონი, მარტში—42,300 ტონი, აპრილში—39,100 ტონი, მაისში—27,500 ტონი, ივნისში—32,640 ტონი, ივლისში—65,000 ტონი და სხ. მარგანეცი გაყიდულია: ინგლისში—125,240 ტონი, საფრანგეთში—41,500 ტონი, იტალიაში—33,077 ტონი, ბელგიაში—20,600 ტონი, ჰოლანდიაში—20,100 ტონი, ამერიკაში, გერმანიაში და პოლონეთში—26,160 ტონი. ინგლისში ამ ჟამად საგანგებო კანტორა არის დაარსებული. ამ კანტორამ ევროპის ყველა ბაზარს უნდა მიაწოდოს მარგანეცი. ასეთივე კანტორის გახსნა განზრახულია ამერიკაშიაც.

ოქტომბრის 12 ევროპის სოციალისტური დელეგაციის წევრმა დებრიუკერმა ინახულა საზოგადოება „ჩემო" და ჟურულთან ხანგრძლივი საუბარი გამართა. დებრიუკერი დაინტერესა თვით საზოგადოების ორგანიზაციამ და მისი მოქმედების ფარგლებმა. დებრიუკერი თავის მხრით დაპირდა საზოგადოებას, რომ იგი ყოველ ზომას მიიღებს ბელგიისა და საქართველოს შორის სავაჭრო დამოკიდებულების გასაცხოველებლად.

— „ჩემო"-ს საზოგადოებამ საზღვარგარეთ გაგზავნილ დელეგაციის თავმჯდომარე ნ. ნიკოლაძისაგან მიიღო დეპეშა ლონდონში „ჩემო"-ს სააგენტოს დაარსების შესახებ. (სდს)

სამეურნეო ორგანოს გარშემო

საქართველო სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. ამიტომ ჩვენ ყოველივე ზომები უნდა მივიღოთ, რათა სასოფლო-სამეურნეო კულტურა სათანადო სიმაღლეზე დადგეს. სამწუხაროთ, ამ მხრივ ჩვენ მეტის-მეტი ჩამორჩენილობა გვეტყობა. ეს ყველასათვის ადვილი დასანახავი მოვლენაა. მიზეზი ჩვენი ჩამორჩენილობისა მრავალგვარია, ერთ-ერთი მიზეზთაგანი ძველი რუსეთის უკუღმართი პოლიტიკაა, რომელიც გამოწვეული იყო სეპარატიზმის შიშით: რუსეთს არ უნდოდა განაპირა ქვეყნები გამხდარიყვენ ეკონომიურათ მთლიანი ერთეულები და ამიტომ არა თუ ხელს არ უწყობდა ჩვენში ეკონომიურ განვითარებას, პირიქით—ებრძოდა კიდეც ამ განვითარებას. კიდევ სხვაც არის მიზეზები; მაგრამ დღეს დამნაშავის ძებნა საქმეს ვერ უშველის. ჩამორჩენილობა ფაქტია და ჩვენც უნდა მივიღოთ ზომები მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. არ კმარა მარტო პოლიტიკური აღზრდა-განვითარება. სახელმწიფო სათანადო ანგარიშს უწევს ამას და კიდეც საჭიროთ დაინახა გაეხსნა რამოდენიმე სამეურნეო სასწავლებელი, როგორც მაღალი, ისე საშუალო და დაბალი ტიპებისა. ზოგი ამ სასწავლებელთაგანი უკვე შეუდგა მუშაობას. მაგრამ ამასთანავე საჭიროა, რათა სამეურნეო ცოდნა ფართო მასაში იქნეს გავრცელებული, მისი პოპულიარიზაცია მოხდეს. ამ მიზნით საჭიროა გამოიცეს სერიოზული სასოფლო-სამეურნეო ორგანო. მოთხოვნილება ამ მხრივ ძალიან დიდია, მაგრამ, სამწუხაროთ ამ დარგში ჯერ ჯეროვნით არაფერი შესამჩნევი არ გაკეთებულა.

დიდის ამბით გამოუშვა სრ. საქ. აგრონომიულ დახმარების მოღვაწეთა ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტმა პირველი ნომერი სამეურნეო ორკვირეულ ჟურნალ „მეურნე"-სი, მაგრამ ამ ჟურნალის მეორე ნომერი აგერ ათი თვეა ვერ ეღირსა მზის სინათლეს... ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს მაინცა და მაინც ბევრათ ჰქონდეს სამეურნეო ცოდნით აღჭურვილი პირები, რომლებმაც ორგანოს იდეური დახმარება უნდა გაუწიონ. მაშ, რაშია მიზეზი?—მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ თითქოს არ არის ქაღალდი, არ არის მკითხველები და სხვ. მაგრამ ეს მიზეზები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებენ. მართლაც, თუ კი „Новости дня", „Понедѣльникъ"-ისთვის და სხვ. უმნიშვნელო ორგანოებისთვის მოიპოვება ქაღალდი,—ნუ თუ სამეურნეო ჟურნალისთვის არ უნდა იყოს იგი?!. რაც შეეხება უკანასკნელ მოსაზრებას,—მკითხველების გამრავლება სავსებით დამოკიდებულია თვით ორგანოს იდეურათ და ტეხნიკურათ მოწყობა-გაუმჯობესებაზე. თუ ეს უკანასკნელი სათანადო სიმაღლეზე იქნება დაყენებული,—მაშინ, დარწმუნებული ვართ, მკითხველთა წრეც ფართო იქნება.

რის ვაი ვაგლახით ახერხებს გამოსვლას დრო გამოშვებით მევენახეთა კავშირის ორ კვირეული ჟურნალი—„ვაზი და ღვინო". რათ აურჩევიათ მის ხელმძღვანელებს ასეთი გზა? ნუ თუ არ შეიძლება მეურნეობის ყველა დარგის წარმომადგენელთა შეთანხმება და საერთო ძალით საერთო სასოფლო-სამეურნეო ორგანოს გამოცემის ნორმალურ პირობებში ჩაყენება?! ეს უფრო მიზანშეწონილიც და ნაყოფიერიც იქნებოდა.

ერთი სასოფლო სამეურნეო ორგანოს გამოცემა აუცილებლათ საჭიროა. საზოგადოებას ესაჭიროება ასეთი ორგანო და დარწმუნებულიც ვართ,—იგი შესაფერ მატერიალურ და იდეურ დახმარებასაც აღმოუჩენს მას.

ანდრო ხ—ტია.

საუბარი საგანგებო კომისართან ბათომისა და მისი ოლქისა გ. ჩხიკვიშვილთან

II

როგორ შევასრულეთ ჩვენ ჯანსაღი სახელმწიფოებრივი ინტერესებით ნაკარნახევი მუშაობა და ზემოთ ჩამოთვლილი ჩვენი მიზნები?

ა) **ადმინისტრაციის მოწყობა და მისი მოქმედება ოლქში და ბათომში.** ადმინისტრაციის სათანადო სიმაღლეზე დაყენება ერთობ ძნელი საქმეა. ვერავინ დამისახელებს ისეთ ქვეყანას ევროპაში, სადაც პოლიცია უნაკლულო იყოს, სადაც პოლიციელებში ბოროტ-მოქმედებას, მექრთამეობასა და სხ. ამისთანა მოვლენებს ადგილი არ ჰქონდეს. ათეული და ასეული წლების ტრადიცია, დიდათ გამოცდილი და დაკვირვებით ხელმძღვანელობა, შესაფერი განათლება, გაწვრთნა და მომზადება აქვს პოლიციას ევროპის სახელმწიფოებში, მაგრამ კმაყოფილი მით სოციალისტური დემოკრატია მაინც არაა. ის უნდა იყოს აღზრდილი გონებრივათ, სპეტაკი და მტკიცე ზნეობრივათ, ნამდვილი მოქალაქის ყველა კარგი თვისებებით შეიარაღებული და რაც თავი და თავია, ქონებრივათ სავსებით უზრუნველყოფილი, რომ თავისი ვალდებულება პირნათლათ შეასრულოს.

ჩვენ ვზრუნავთ მასწავლებლების განათლება-მომზადებაზე, ტეხნიკების და სოფ. მეურნეების გაწვრთნაზე და ყველა სხვა სპეციალისტების შექმნაზე, მაგრამ მილიციაზე ამ მხრივ ჯერ ყურადღებაც არ მიგვიქცევია. „საქართველომ" კი უნდა იცოდეს, მაგრამ „სხივმა" შეიძლება არც კი იცის, რომ ადმინისტრატიული სფერო სახელმწიფოს ცხოვრებისა სხვა მხარეებზე ნაკლები სათუთი და მნიშვნელოვანი არაა და ბევრი მუშაობა გვჭირია ჯერ კიდევ, სანამ სასურველ შედეგამდე მივაღწევდეთ.

მილიციის ხელმძღვანელის ვალდებულებაა იმუშაოს ამ მხრით მილიციის აღსაზრდელათ, რამდენათაც ეს შეუძლია და პირობები ხელს უწყობს, არ დაინდოს ბოროტ მოქმედი კი არა, საეჭვო პირებიც კი მილიციაში, მიზანშეწონილი და სამართლიანი სიმკაცრე გამოიჩინოს ყოველი მოსამსახურისადმი.

მილიცია ოლქში და ქალაქში უკვე მოწყობილია, წესიერების დაცვა, დანაშაულობის დევნა და სხვა, რასაკვირველია იდეალურათ არაა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არაუშავს. თითქმის არ მომხდარა დანაშაულობა, რომელიც მომქმედი აღმოჩენილი არ ყოფილიყოს. შინაური ორგანიზაცია მილიციისა, კანცელარია და საქმის წარმოებაც დაწყობილია. გარეგნულათაც მას არა უშავს. რასაკვირველია, ნაკლი ბევრი აქვს და სამწუხაროთ კიდევ დიდხანს ექნება, მაგრამ დაუძლეველის დაძლევა არავის შეუძლია. უნდა იცოდეთ, რომ ღირსეული კაცები მილიციისათვის სანთლით საძებარია. ბათომის ოლქს მოწყდა ბევრი არა სასურველი და ბოროტულათ განწყობილი პირები. საჭირო იყო და არის მათი დიდი შერჩევა, რასაც ჩვენ განუწყვეტლათ ვაწარმოებდით. მე მისაყვედურებენ, რომ ავარა და კარტოჟნიკები გყავს სამსახურში და მაგალითად მოყავთ წულუკიძე და ჟორდანია ართვინის ოლქის უფროსი და მილიციის აფიცერი. ალბათ რედაქციას აქვს საბუთები როცა კონკრეტულათ ასახელებენ პირებს, ჩვენი ვალდებულებაა ეს საჩქაროთ გამოვიძიოთ და მავნე პირები თავიდან მოვიშოროთ, რასაც შესრულებს ადმინისტრაციის

დისო. ეს ბრძნული თქმულება ჩვენზეა გამოჭრილი.

მიზანშეწონილ ხარჯვასა და აღებმიცემობას აუცილებლათ უნდა მიჰყვეს ფართო ზომები **ექსპორტის გაძლიერებლათ.** ყველაფერი, რაც ხელს უშლის მარგანეცის, ხეტყის, თამბაქოს, აბრეშუმის პარკის და სხვა ასეთ ნაწარმოების უცხოეთში გატანას, თავიდან აცილებულ უნდა იქნეს. ამისთვის საჭიროა უცხოეთის ბაზრის კარგათ შესწავლა და ეკონომიური წარმომადგენლობის მოწყობა ევროპის დიდ სავაჭრო ცენტრებში, მოგვარება მუშათა საკითხის, ტრანსპორტის და სხვ. მარტო ელევატორის ამუშავებას ფოთში მარგანეცის დასატვირთათ უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

დღეს ყველა მთავრობა ფხიზლათ ადევნებს თვალყურს უცხოეთთან აღებმიცემობას.

ამ მხრივ სახელმწიფო კანტროლს ექვემდებარება არა მარტო სახელმწიფო დაწესებულებანი, არამედ აგრეთვე კერძო პირნი და კომპანიებიც. ეს ევროპაში ამჟამად აღარავის ეუცხოვება. საქართველოში უკანტროლოთ მუშაობენ არა მარტო კერძო პირები, არამედ თვით სახელმწიფო დაწესებულებებიც. საგარეო ვაჭრობას დღეს მარტო მომარაგების სამინისტრო კი არ ეწევა, რომელიც ამისთვისაა მოწყობილი. ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებები დამოუკიდებლათ ეწევიან უცხოეთთან აღებ-მიცემობას. ეს დიდ არევ-დარევას და ანარქიას ბადებს და კიდევ უფრო ამძიმებს ისედაც ჩვენს მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას. ჩვენი დებულებაა—ყველა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებმა უცხოეთთან აღებმიცემობა აწარმოოს სახელმწიფოს კანტროლის ქვეშ. მაშინ აღარ იქნება ის, რასაც ეხლა ვხედავთ: მყიდველათ ერთი და იმავე საქონლის, რომლის რაოდენობა ძლიერ განსაზღვრულია, ერთსა და იმავე დროს გამოდის სხვადასხვა დაწესებულებანი და ერთმანეთს მეტოქეობას უწევენ, რითაც ხელს უწყობენ საქონლის კიდევ უფრო გაძვირებას.

სასურსათო საკითხი.

სასურსათო საკითხი რევოლიუციის პირველ დღიდანვე ჩვენი მტკივანი ადგილი იყო. მოგეხსენებათ, საქართველოს 7 მილიონი ფუთი ფქვილი და ხორბალი შემოჰქონდა ჩრდილო კავკასიიდან. ომის დროს ამ კუთხესთან ჩვენი აღებ-მიცემობა შესუსტდა, ხოლო რევოლიუციის შემდეგ ის თითქმის სავსებით შეწყდა. პური ვერსაიდან მივიღეთ. ეს იყო ასე ვსთქვათ, სათავე ჩვენი სასურსათო გაჭირვებისა. მაგრამ ადვილი მოსატანიც რომ იყოს პური საიდმე, ჩვენ დღეს მისი შეძენის საშუალება მაინც არ გვაქვს. რაც უნდა ვეცადოთ, ჩვენ ვერ ვიშოვით იმ ათეული მილიარდების ვალიუტას, რომელიც, საჭიროა ამდენი პურის შესაძენათ.

არ უნდა დავივიწყოთ, ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ისეთია, რომ ნებას არ გვაძლევს სხვა ქვეყნების პურით ვირჩინოთ თავი. ეს შეუძლია სამრეწველო ქვეყანას, რომელსაც უცხოეთში გააქვს დამზადებული საქონელი და კაპიტალი, მაგრამ არ შეუძლია საქართველოს, რომელიც თვითონვე საჭიროებს მრეწველობის პროდუქტებსაც და კაპიტალსაც.

ამიტომ ჩვენში სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პოლიტიკა სავსებით მიმართული უნდა იყოს საკუთარი საყოფი პურის დამუშავებისაკენ. ეს არც ისე ძნელი საქმეა, როგორც პირველი შეხედვით ადამიანს ეგონება. განვლილმა სამმა წელიწადმა ჩვენ საკმაო საბუთი მოგვცა იმისა, რომ საქართველოს მიწა-წყალს შეუძლია მასზე მობინადრე ხალხის რჩენა. ეს სამი წელიწადია თითქმის ყოფნის საკუთარი მოსავალი. მაგრამ საჭიროა უფრო დაიმედებული ვიყოთ ამაში. **ამისათვის აუცილებელია მივიღოთ ზომები მინდვრის კულტურის გასაუმჯობესებლათ, შემოვიტანოთ უცხოეთიდან გაუმჯობესებული სასოფლო სამეურნეო იარაღები, გავაძლიეროთ მცხოვრებლებისათვის აგრონომიული დახმარება, უფრო ფართო მასშტაბით ვაწარმოოთ სამელიორაციო და საირიგაციო მუშაობა და სხ.** ჩვენი მიწა-წყლის უკეთესათ გამოსაყენებლათ და სოფლის სამუშაო ძალის უფრო რაციონალურათ მოსახმარათ **საჭიროა სოფლის მცხოვრებთა ერთგვარი გადაჯგუფება, ე. ი. ჩასახლებისა და გადასახლების ფართოთ მოწყობა.**

როცა სასურსათო საქმის მოგვარებაზე ვლაპარაკობთ არ შეგვიძლიან ყურადღებს არ მივაქციოთ ერთ მახინჯ მოვლენას, რომელიც ცხოვრებას კიდევ მეტათ აძვირებს და დღევანდელ სასურსათო კრიზისს აწვავებს. ჩვენში მაგრათ გაიდგა ფეხი კუთხურმა პოლიტიკამ. თვითოეული სამაზრო ერობა, თითოეული თემიც კი ერთგვარი სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელიც თვის სამოქმედო ტერიტორიაზე სუვერენული უფლებით იმოსება, ყველას საკუთარი ეკონომიური და სასურსათო პოლიტიკა აქვს. ხშირათ აკრძალულია ერთი თემიდან მეორე თემში, ერთი მაზრიდან მეორე მაზრაში სურსათის ყიდვა და გატანა, ამას სჩადიან სპეკულიაციასთან ბრძოლის მოსაზრებით, მაგრამ ნამდვილათ ამით საუკეთესო ნიადაგი უმზადდება სპეკულიაციას, ვინაიდან ხელოვნური შეჩერება ჩვენი ქვეყნის სასურსათო რესურსების თავისუფალ განაწილებისა აძლიერებს სურსათზე მოთხოვნილებას ერთ ალაგას მაშინ, როცა მეორე ალაგას ის მოიპოვება.

ერთხელ და სამუდამოთ ამას ბოლო უნდა მოეღოს და თუ რეგულიატორი საჭიროა, ამას უნდა ასრულებდეს არა თემი, არა მაზრა, არამედ სახელმწიფო.

ზოგიერთი საზოგადო ზომები.

ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას ორი ერთიმეორის დიამეტრალურათ წინააღმდეგი გარემოება ახასიათებს: საშინელი გაჭირვება და დიდი ხელგაშლილობა. სახელმწიფო ეკონომიური კატასტროფისაკენ მიექანება. ამავე დროს ქეიფსა და ხალხის სიმდიდრის ფლანგვას საზღვარი არა აქვს. ამდენი რესტორანი და კლუბები თფილისში არასოდეს არ ყოფილა. დღე და ღამე გაწორებულია აქ. იმ დროს, როცა საზოგადოების ერთი ნაწილი ლუკმა პურს მოკლებულია, მეორე ნაწილი ქეიფობასა და ლხინის მორევში ცურავს. ამაზე იტყვიან სწორეთ—„пиръ во время чумы"-ო.

არც სხვა მხრივ სჩანს ხელმომჭირნეობა. ავიღოთ მაგალითი. თფილისის ქუჩები დღისითაც განათებულია. ეს ძლიერ დამახასიათებელი ფაქტია. ნავთისა და ზეთის კრიზისის დროს ამას ადგილი არ უნდა ჰქონდეს... ზღვა კოვზით დაილიაო—იტყვიან. ჩვენ ზღვა სიმდიდრე არ მოგვეპოვება, მაგრამ, კოვზით კი არა, ჩაფებით ვადგევართ ზედ.

არც სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს და არც კერძო პირთ არ აქვთ შეგნებული ქვეყნის მდგომარეობა და არავინ გრძნობს იმას, რომ გაჭირვებისა და სიღარიბის დროს საჭიროა დაზოგვა, ანგარიშიანობა, რომ ის ცოტა, რაც გვაქვს გამოვიზოგოთ და ერთსა და ორ დღეს არ ჩავინთქას.

საჭიროა ჩვენს მოქმედებასა და ცხოვრებას, მართლა დემოკრატიული ელფერი და ხასიათი მიეცეს. საჭიროა თავადობას ქვეყანამ თავი დაანებოს და დიდკაცური ფსიხოლოგია უკუ აგდოს.

დასკვნა.

აი, ყველა ის ზომები, რომელიც ჩვენი აზრით აუცილებელია თუ გვინდა არ დავინგრეთ და კრიზისი გადავიტანოთ. თვითეული ეს ზომა ცალკე აღებული და ცხოვრებაში გატარებული არაფერს ნიშნავს. მათ მაშინ ექნებათ აზრი და გავლენა თუ ერთსა და იმავე დროს, ერთი მეორესთან შეთანხმებით გატარდებიან ცხოვრებაში. უნდა ვიცოდეთ, რომ ერთი რომელიმე უნივერსალური საშუალება ან პანაცეა არ არსებობს. არის მხოლოდ მიზანშეწონილი ფინანსიური და ეკონომიური პოლიტიკა.

ჩვენ უნდა შევიმუშაოთ მთავარი საფუძველი ამ პოლიტიკის და შემდეგ, მთელი ჩვენი ენერგიით, მთელი ჩვენი ძალღონით უნდა გავატაროთ ცხოვრებაში. ის ერთსულოვნობა და სიმტკიცე, რომელიც ჩვენ გამოვიჩინეთ პოლიტიკურ სფეროში და რამაც გადაგვარჩინა, როგორც ბოლშევიკურ ანარქიისაგან, ისე დენიკინელ-კონტრრევოლიუციისაგან, ეს ერთსულოვნობა და სიმტკიცე ახლა ეკონომიურ სფეროშიაც უნდა გამოვიჩინოთ. ჩვენი ძალები ამ ფრონტზე უნდა გადავაჯგუფოთ, და, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, გამარჯვება ჩვენი იქნება.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას უდიდესი ეკონომიური პერსპექტივები აქვს.

მისი ბუნებრივი სიმდიდრე უთვალავია.

ვიშრომოთ, გამოვიყენოთ ეს სიმდიდრე და მომავალი ჩვენია!

(შემდეგი იქნება)

სახალხო გვარდიის ყრილობისათვის

ქ. თფილისში, ოქტომბრის 24-ში

მოწვეულია სახ. გვარდიის მეორე ყრილობა

მთავარი შტაბის მიერ ყრილობის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება საერთო პოლიტიკურ მდგომარეობაზე.
2) მთავარი შტაბის მოხსენება წარსულ მუშაობის შესახებ.
3) მთავარ შტაბის განყოფილებების მოხსენება მათი მუშაობის შესახებ.
4) სახალხო გვარდია, როგორც სამხედრო და სამეურნეო ორგანიზაცია.
5) დისციპლინა და პასუხისმგებლობა სახალხო გვარდიაში.
6) სახალხო გვარდიის ძირითად კანონის გადასინჯვა.
7) ცვლილებების შეტანა სახ. გვარდიის წესდებებში.
8) დამოკიდებულება შტაბებსა და ნაწილების უფროსებს შორის.
9) სახ. გვარდიის შტატების გადასინჯვა.
10) სახ. გვარდიის ფორმა, ნიშნები და აგრეთვე სამხედრო ნიშნები ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის.
11) მიმდინარე საკითხები.
12) მთავარი შტაბის არჩევნები.

ყრილობისათვის 150 გვარდიელი ირჩევს ერთ დელეგატს. საარტილერიო ბრიგადა ირჩევს თითო ბატარეიაზე თითო დელეგატს.

ცხენოსანი პოლკი—თითო ასეულზე თითო დელეგატს.

საინჟინრო გუნდი, ტყვიისმფრქვეველი რაზმი, ჯავშნიანი მატარებელი და ავტო-ჯავშნიანი დივიზიონი დელეგატს—თითო.

სახ. გვარდიის მუშა-მოსამსახურეთა კავშირი გზავნის 3 დელეგატს სათათბირო ხმით.

უფროსი პოლკ. სალუქვაძე, მაგრამ სიმართლე მოითხოვს განვაცხადო, რომ მე იმათთვის არა თუ ცუდი არაფერი შემიმჩნევია, პირიქით, ორივე ამ პირის ენერგიული მუშაობა ყაჩაღობისა და მავნე პირების დევნაში, გაბედულობა და თავდადება ჩემს ყურადღებას იპყრობდა ამ ორი თვის განმავლობაში. წულუკიძის შესახებ მაქვს აკ. ჩხენკელის განცხადება, რომ განიარაღებას უტაქტოთ და არა მიზანშეწონილათ ახდენდა ართვინში, სადაც ამხ. ჩხენკელი იყო და ბევრი ადგილები დაათვალიერა. მე წულუკიძის განმარტებას არ დავჯერდი და ადმინისტრაციის უფროსს დავავალე საქმის გამოძიება—რევიზია. ჟორდანიაზე კი არავის არაფერი გაუცხადებია კმაყოფილების მეტი. ის, ბათუმამდე კიდევ მსახურებდა კომისრათ დუშეთში. მაგრამ ნაკლი არაფერი აქვს, თუ იმის დოკუმენტებს დაუჯერებთ და საწდო პირების რეკომენდაციას ანგარიშს გაუწევთ. ჯარში ნაწილის უფროსი იყო და უდიდესი ჯილდო აქვს მიღებული ოფიცრის გიორგის ჯვრით. შეიძლება მართლაც საშინელი კაცია და ეს გამოძიებული უნდა იქნას, ჩემთვის იმის ყოფნა, რომ დამნაშავეებს ვინახავდე მილიციაში განგებ, მეტის მეტი ურიგობაა. პირიქით შეიძლება მე მისაყვედურონ ცოტა მეტი სიმკაცრე მოსამსახურეებისადმი, მაგრამ წინააღმდეგი კი სიმართლეს არ შეეფერება. „სხივმა“ და მისმა მოღვაწე ამხ. იმნაიშვილმა კარგათ იცის თუ რამდენი უღირსი მოსამსახურეები მილიციისა მოვიშორე მე ბათუმიდან. მაგალითად მათ მილიციის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი იმნაიშვილი, მისი თანაშემწე ესაძე, კომისრები—ჩხაიძე, ნასყიდაშვილი ქავთავაძე, ბერიძე, შარვაშიძე, გოგელია და სხვები. დასჯილი მილიციონერების რიცხვი ათობითაა.

უნდა გითხრათ, რომ არც ერთი პასუხისმგებელი თანამდებობის პირი ადმინისტრაციაში ურეკომენდაციოთ დამფ. კრების წევრებისა ან სხვა საზოგადო მოღვაწეებისა, სამსახურში არ მიმიღია გარდა ბ-ნი იმნაიშვილისა, რომელიც ჩემი კანდიდატი იყო.

ადგილობრივათ მუსულმანებისგან ვისი გამოყენებაც კი შეიძლებოდა არავისთვის გვერდი არ ამივლია, მაგრამ სამწუხაროთ ბევრმა იმედი არ გაამართლა. ყველაზე მეტი პრეტენზია და დიდი რეკომენდაცია ქონდა უსუფ აბაშიძეს ბათომის ოლქის უფროსის თანაშემწეს, მაგრამ პირველი დღიდანვე მისი მუშაობა მხოლოდ აუარებელი იარაღების ნებართვების გაცემაში გამოიხატა და მეტი არაფერი. ორიოდე მილიციონერი თუ „ტელოხრანიტელები“ მიიყვანა და ორივე ყაჩაღი. ერთმა მეტლე გაძარცვა და მოკლა ორთა ბათომის გზაზე და მეორემ უსაშინელესი პროვაკაცია ჩაიდინა, ხოფლელს რევოლვერი მიჰყიდა მოტყუილებით, შემდეგ ამხანაგეში დაახვედრა გზაზე, რევოლვერიც წაართვეს, სცემეს და კიდევ ფულიც გამოსტაცეს. დამნაშავეები დაჭერილნი არიან. ეხლა ბ-ნი უსუფი იარაღით მოვაჭრე პირების დამცველობას კისრულობს. ამის საბუთი მისი დეპეშა ხელში მაქვს, რომლის შინაარსი აღმაშფოთებელი ინსინუაციაა ჩვენს აფიცრობაზე და დაუსაბუთებელი შუამდგომლობა დამნაშავეთა განთავისუფლებაზე.

ფოსტა-ტელ. და ტელეფონის მუშა-მოსამსახურეთა მესამე მორიგი ყრილობა

6 ოქტომბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს გრ. ურატაძე. ესწრება 40 დელეგატი. ცენტრ. გამგეობის მოხსენების შესახებ კამათი დასრულდა. შემოდის სამი რეზოლიუცია: 1) სოც. დემ., რომელიც აღნიშნავს ცენტრ. გამგ. მცირე საქმიანობას; 2) სოც. ფედ. რომელიც ამართლებს ცენტრ. გამ. და 3) ვ. ბერიშვილის:—მოვისმინეთ რა მოხსენება, გადავდივართ მორიგ საკითხზე. რეზოლიუციების შესახებ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: შოთაძემ, ჟურულმა, ტულუშმა და ნასიძემ. კამათის დასრულების შემდეგ კენჭი ეყარა სამივე რეზოლიუციას და ხმის დიდი უმრავლესობით მიღებულ იქნა—პირველი რეზოლიუცია. შემდეგ მოხდა ცენტრალური გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები. არჩევნები მოხდა პროპორციონალური სისტემის მიხედვით: სოც. დემ. გაიყვანეს 7, სოც. ფედ. 4, და ამგვარათ ცენტრ. გამგეობაში არჩეულ იქნენ:— 1) დუმბაძე ერმილე; 2) შოთაძე ირ.; 3) გაჩეჩილაძე დ.; 4) ვაშაკიძე; 5) ქელიშვილი კლ.; 6) დავლიანიძე ერ. 7) ჟურული ზ. 8) დუმბაძე ვ.; 9) ბერძენიშვილი კ., 10) ქრელაშვილი ვარლამი და 11) ტულუში. მათ კანდიდატებათ: მაისურაძე, ჩიჩუა, ურჩმელიშვილი, მახარაძე, რახაშვილი და ჩიკოიძე. სარევიზიო კომისიაში: ხოშტარია, მალანია, ლლონტი, ცაგარეიშვილი და ნასიძე. მათ კანდიდატებათ:—კიკნაძის ასული, ზამუშია და მესხი. არჩევნების დასრულების შემდეგ. თავმჯდომარე კითხულობს გუგუჩიას განცხადებას, რომელიც მოითხოვს ხარიშჩაროვის საქმის გარჩევას და მსჯავრის გამოტანას. ტულუში წინააღმდეგია ამ საქმის ყრილობაზე გარჩევის, რადგან ეს წაართმევს ყრილობას ძალიან დიდ დროს და მსჯავრის გამოტანა ბრალდებულის დაუკითხავათ, იურიდიულათ არ იქნება მიზან შეწონილი. ლლონტი მოითხოვს ინფორმაციის სახით მოისმინოს ყრილობამ მოხსენება. თავმჯდომარეს შეაქვს წინადადება, რომ როგორც ხარიშჩაროვის, ისე სხვა ასეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვენ პრაქტიკულათ დამუშავებას, გადაეცეს ცენტრ. გამგეობას, და მას დავავალოთ მათი სასწრაფო გამორკვევა. წინადადება მიღებულ იქნა ერთხმათ. შემდეგ პირად საკითხზე სიტყვას ღებულობს აბდუშელიშვილი, რომელიც აცხადებს საქ. პროფეს. კავშირების კულტურულ მხარეს, სადაც ძალიან ცოტა არის გაკეთებული, სიხარულს გამოსთქვამს ფ. ტ. კავშირში მომხდარ შეთანხმების გამო და იმედოვნებს, რომ შემდეგში უფრო ნაყოფიერი იქნება ჩვენი მუშაობა და სთხოვს დელეგატებს განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ კულტ. მხარეს, მუშათა ჟურნალის გავრცელებას, პროფეს. მოძრაობის ისტორიის გაცნობას და სხვ. შემოდის, ორი წინადადება: 1) ცენტრ. გამგეობამ თავის სალაროდან გადასდოს ჟურნალის „მუშათა ცხოვრების“ ფონდის გასაძლიერებლათ 30000 მან. 2) დელეგატებმა ადგილობრივათ გამართონ წარმოდგენები და ხელის მოწერა ჟურნალის სასარგებლოთ. ორივე წინადადება ერთხმათ იქნა მიღებული.

თავმჯდომარე აცნობს ყრილობას კიდევ ორ წინადადებას. 1) ეცნობოს საერთაშორისო შრომის კონფედერაციას და ყველა ქვეყნის პროფეს. კავშირებს. საბჭოთა რუსეთის მხრით მუშათა დელეგაციის შეუშვებლობა რუსეთის ტერიტორიაზე. 2) ეცნობოს სომხეთის მშრომელ ხალხს, დიპლომატ. მისიის საშუალებით, რომ ქემალ ფაშის ბარბაროსობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენი დემოკრატიის სიმპატია არის მათ მხარეზე, და ტანჯული სომხეთის მშრომელი ხალხი, რომელიც საუკუნეებით იბრძოდა და იბრძვის თავისუფლებისათვის შესძლებს მათ დამარცხებას. ორივე წინადადება ერთხმათ იქნა მიღებული. დასასრულ თავმჯდომარე აცხადებს, რომ წესრიგი ამოწურულია, ყრილობას დახურვამდე თავმჯდომარე მიმართავს დელეგატებს მოკლე სიტყვით და აღნიშნავს ყრილობის საქმიან მუშაობას, მომხდარ შეთანხმებას, უსურვებს კავშირს მთლიანობის შენარჩუნებას, რომელსაც თავისთავათ ერთი, საერთო ყველასათვის საქმე აქვს გასაკეთებელი, და უსურვებს აგრეთვე ახლად არჩეულ ცენტრ. გამგეობას, რომ მან გამოიჩინოს უფრო მეტი საქმიანობა, ვიდრე ეს იყო წინათ და გაატაროს ცხოვრებაში ყველა—პროექტ. და პრაქტიკული დავალებები, რომლებიც გადასცა მას ყრილობამ. საპასუხო სიტყვას ყრილობის დელეგატების სახელით ეუბნება დ. გაჩეჩილაძე. შემდეგ თავმჯდომარემ ყრილობა დახურულათ გამოაცხადა და დელეგატებმა მადლობის ნიშნათ თავმჯდომარე ტაშით დააჯილდოვეს.

კლემენტი.

ქართული დრამა

სახელმწიფო დრამის თეატრი.

მხატვარი ვ. ერისთავი კლდიაშვილის საღამოსათვის საგანგებოდ ამზადებს ახალ დეკორაციებს. კლდიაშვილის პიესებიდან წარმოდგენილ იქნება: 1) „დარისპანის გასაჭირი“ და 2) „ირინეს ბედნიერება“. მონაწილეობენ: ე. მესხი, ვ. არაბიძე, პ. კორიშელი, ი. ზარდალიშვილი, ა. შოთაძე, ა. ვასაძე, ა ლოლუა, ო. ღოღობერიძე, ს. ბეჟანიშვილი, მ. გელოვანი და სხვა.

პიესებს სდგამს რეჟისორი აკაკი ფალავა სრულიად ახალი მიზანსცენებით.

მხატვარი ალ. ზალცმანი ამზადებს „ოტელოს“ დეკორაციებს.

მომავალ კვირის რეპერტუარში შეტანილია ახალი პიესა უკრაინის ცნობილი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე ვინნიჩენკოსი: „სიცრუე“, რომელშიაც მთავარ როლებს ასრულებენ ნ. ჩხეიძე და ალ. იმედაშვილი. პიესას სდგამს რეჟისორი მ. ქორელი.

სარეპერტუარო კომისიის სხდომა: ხუთშაბათს საღამოს შესდგა მორიგი სხდომა ქართული დრამის სარეპერტუარო კომისიისა; დაესწრნენ: ლ. ნათაძე, გ. რობაქიძე, შ. შარაშიძე, ი. ზურაბიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, ქართული დრამის სამხატვრო ნაწილის გამგე დირექტორი ა. ფალავა. ამ სხდომაზე რეპერტუარში შეტანილ იქნა შემდეგი პიესები: „სასტუმროს დიასახლისი“—გოლდონისა და „ავგაროზი“—შ. შარაშიძისა, „ტარტიუფი“, „იქვით ავადმყოფი“ და „ძალად დაქორწინება“—მოლიერისა, „იულიუს კეისარი“ შექსპირისა, „პადუის დედოფალი“—უაილდისა, „სევილიელი დალაქი“—ბომარშესი, „ვიდრე ხვალ“—სენკევიჩის რომანიდან გადმოკეთებული — თარგმანი აკაკისა, „მეამბოხე“—შოუსი, „რევიზორი“—გოგოლისა. „მზის დაბნელება“—ანტონოვისა, „დავა“—გ. ერისთავის, „ხათაბალა“—სუნდუკიანცისა, „ფეიქრები“ ჰაუპტმანისა, „აისი“—ვერხარნისა, „სირანო-დე-ბერჟერაკ“—როსტანისა.

ქართული დრამის დირექციამ სეზონის გახსნის გამო მიიღო შემდეგი დეპეშები: 1) ქუთაისიდან: ქუთათური დასისაგან. 2) რუსულ დრამის რეჟისორისაგან. მათ გაეგზავნა საპასუხო დეპეშები.

ს.-დ. პარტიაში

ტფილისი. 14 ოქტომბერს შესდგა საქ. სოც. დემ. მუშათა პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა კრების ოქმი. მოხსენება ტფილისის კომიტეტიდან მიღებულ იქნა მხედველობაში. კოლექტ. დაადგინა ახლო მომავალში მოწვეულ იქნას მეორე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება, სადაც ვენის სოც., კონგრესისა და ევროპაში მუშათა მოძრაობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. კ. გვარჯალაძე. შაბათს, 16 ოქტომბერს, კარლ კაუცკის დაბადების დღეს, გაიგზავნა ამხ. კარლ კაუცკითან ერთი წარმომადგენელი და მეორე რაიონის პროლეტარიატის სახელით სალამი მიუძღვნა—და მიულოცა მას დღესასწაული. ზოგიერთი ამხანაგები—სხდომებს ვერ ესწრებიან, კოლექტივი სთხოვს ამხანაგებს, სისტემატიურათ იარონ კოლექტივის სხდომებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებულ იქნება შესაფერი ზომები. კოლექტივის ფინანსიურ და მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საშუალების გამონახვა მიენდო ფინანსიურ კომისიას და კოლ. პრეზიდიუმს, ამ კომისიაში მონაწილეობის მიღება და დახმარების აღმოჩენა ეთხოვა ამხ. კ. ხახანაშვილს.

კოლ. დაადგინა, ნ. დოლიძე, რომელსაც სამეცადინო წრის დაარსების სურვილი აქვს, ახსნა განმარტების მოცემისათვის მოწვეულ იქნას შემდეგ კოლ. სხდომაზე.

კოლ. მდივანი ამხ. ბერაძე დამტკიცებულ იქნა შტატში 8000 მანეთის თვიურ ჯამაგირის დანიშვნით.

თედ. ხუხუნაიშვილი.

ტფილისი. 14 ოქტომბერს შესდგა მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა ამხ. ვ. ინწკირველის თავმჯდომარეობით. პირველ ყოვლისა კოლექტივი იცნობს წინა სხდომების ორ ოქმს, რომლებიც რამდენიმე შესწორებით დამტკიცებულ იქნა. ტფილისის კომიტეტიდან მოხსენება გააკეთა ამხ. მ. ტერელაძემ. მომხსენებელმა განმარტა კომიტეტში განხილული კითხვები, ამხ. კ. კაუცკის 16 ოქტომბერს 66 წლის (დაბადებიდან) შესრულების აღნიშვნის შესახებ, ამხ. დე-ბრიუკერის მიერ ტფილისის კომიტეტის დათვალიერება და რამოდენიმე განცხადებები. მოხსენების შემდეგ კოლექტივი კამათს ხსნის. ამხანაგები აღნიშნავენ, რომ ჩვენ პარტიულ პრესაში წერილები პარტიის ცხოვრებიდან ნაკლებათ იბეჭდება. აღნიშნულ იქნა, რომ ტფილისის კომიტეტის სხდომების ანგარიშები თითქმის წლობით არ თავსდება პრესაში, რაიონებიც სუსტად აწვდიან ცნობებს პრესას, რუსულ ორგანო „ბორბა“-ში ეს განყოფილება თითქმის სრულიად მოსპოს. ხშირად პარტიულ კონფერენციის შესახებაც არ აწვდიან მკითხველს ცნობებს, 13 ოქტომბერს დანიშნულ კონფერენციის „ერთობიდან“ თუ გაიგებდა მკითხველი, თორემ „ბორბა“ში ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი. ასეთი შემთხვევები ხშირია. საჭიროა ამას მიექცეს სათანადო ყურადღება ვისგანაც ჯერ არს. კოლექტივი ადგენს ეს კითხვა გადატანილ იქნას კომიტეტის სხდომაზე. კ. კაუცკის დღესასწაულის აღსანიშნავად არჩეულ იქნა კომისია სამი პირისაგან შემდგარი: დ. პაპიშვილი, დ. ბუაჩიძე და ლ. ხელაძე. რაიონის სახელით კაუცკის მილოცვა დაევალა ამხ. ი. ირემაშვილს. შემდეგ მოსმენილ იქნა ადგილობრივ ორგანიზაციებიდან მოხსენებები. დაბოლოს კოლექტივმა განიხილა პარტიაში მისაღებ კანდიდატთა სია. *)

მდივანი მ. ნაკაიძე.

რედაქციისაგან. მეექვსე რაიონს ყურადღება მიუქცევია იმისთვის, რომ პრესაში ნაკლებათ იბეჭდება წერილები პარტიის ცხოვრებიდან. ეს მართლაც რომ უდიდესი ნაკლია და ის რაც შეიძლება ჩქარა უნდა გამოსწორდეს. ჩვენი რედაქცია დიდ ყურადღებას აქცევს ამას, მან არა ერთხელ მიმართა ამხანაგებს მიეწოდებიათ მასალები რეგულიარულათ, მაგრამ, სამწუხაროთ, ჩვენი ორგანიზაციების უმეტესობა დღემდის ვერ ახერხებს ამას. მართალია, ზოგიერთი ორგანიზაციები გვაწვდიან წერილებს, მაგრამ ზოგი მათგანის დაბეჭდვა შეუძლებელია, რადგან შიგ პარტიული თითქმის არაფერია და მთელი სხდომები უნდება ისეთ საქმეებს, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს პარტიულ საქმიანობასთან და რომლებსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს პარტიულ ორგანიზაციებში. ასეთი ანგარიშების დაბეჭდვა, რასაკვირველია, შეუძლებელია. საჭიროა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მოაწოდონ პრესას რეგულიარულათ ანგარიშები თავის სხდომებისა, მაგრამ ამავე დროს უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს თვით ორგანიზაციების საქმიანობას. ის უნდა გაიწმინდოს და განთავისუფლდეს ყველა იმ კითხვებიდან, და ისეთ კითხვებზე მსჯელობისაგან, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვს პარტიულ საქმიანობასთან, რომელიც ასე ხშირია, სამწუხაროთ, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში.

მუშათა შორის

ქ. სოხუმი. 4 ოქტომბერს, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მიერ საერთო კრება იქნა მოწვეული, სადაც საბჭოს უნდა გაეცნო დამსწრეთათვის აღმასრულებელი კომიტეტის 21 სექტემბრის სხდომაზე გამოტანილი დადგენილება. მუშათა დელეგაციის რუსეთში არ შეშვების შესახებ. კრებას დიდი ძალი მუშები დაესწრნენ. კრების თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული ამხ. ვ. ნოდია. შექმნილ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ს. რამიშვილმა, რომელმაც გააცნო კრებას დელეგაციის დანიშნულება და როგორი შეხედულება აქვს საბჭოთა მთავრობას დელეგაციაზე, და როგორ უფრთხის იგი მას; შემდეგ სიტყვას თხოულობს ამხ. მ. მახვილაძე, რომელიც უხსნის კრებას თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა დელეგაციას. ეს ერთად ერთი საშუალება იყოვო ამბობს მომხსენებელი, რომელიც აღადგენდა ძმურ განწყობილებას ორ მოძმეთა შორის.

ამ საშუალებას მიმართა ჩვენმა მუშებმა, რომლებიც ილტვოდენ თავისი თვალებით დაენახათ რუსეთის მუშათა კლასის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა და ამის საშუალება მოუსპო საბჭოთა მთავრობამ. შემდეგ ილაპარაკეს ამხ. მ. წულუკიძემ, ი. ბეალავამ, ი. კედიამ და სხვამ—კამათის დასასრულს კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ქ. სოხუმის პროფ. კავშირთა საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება საქართველოს მუშათა დელეგაციის რუსეთში შესვლის აკრძალვის შესახებ, გამოსთქვამს თავის ღრმეს გულისწყრომას საბჭოთა მთავრობის მოქმედების შესახებ, რომელმაც საშუალება მოუსპო საქართველოს პროლეტარიატს გაეცნობოდა თავის მოძმე რუსეთის მუშათა კლასის მდგომარეობას: კრება სავსებით იწონებს საქარ. პროფ. კავშირების აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებას რუსეთის პროლეტარიატთან უშუალო დამოკიდებულების აღდგენის შესახებ და აღნიშნული გარემოების პროფესიონალურ ინტერნაციონალის სამსჯავროს წინაშე წარდგენის შესახებ და სიამოვნებით მიეგებება რუსეთის პროლეტარიატის წარმომადგენლების ჩამოსვლას საქართველოში, რომლის ხელშეუხებლობის გარანტია დაცულ იქნება საქართველოს მუშათა კლასის მიერ. კრება რეზოლიუციას ტაშის ცემით მიეგება, შემდეგ თავმჯდომარე ვრცლად უხსნის კრებას რუსეთის „სოციალიზმს“ და მუშათა კლასის მდგომარეობას, ამხ. მახვილაძისა აცნობს კრებას შრომის ხელშეკრულობის ზოგიერთ მუხლებს. სიგვიანის გამო მახვილაძის მოხსენება გადაიდო შემდეგისათვის.

დიომიდე კუკაძე.

პროვინცია

ხოფ. ხაშმი ერთი პირველი სოფელთაგანია გარე კახეთში, მდ. ივრის ნაპირას: აქ არის კარგა ბლომა ვენახები საუკეთესოდ გაშენებული, ხილი და მოსავალიც იმდენი მოდიოდა, რომ ბაზარზედაც კი გაქონდათ. ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში კი ძალზე დასაჯა ეს სოფელი მოუსავლობამ. შარშან ისე დასეტყვა ვენახები, რომ ვაზი და ხეხილი წელსაც კი ვერ აიმართება. პურის მოსავალს შარშან ამინდმა უმტყუნა, წელს თაგვებმა გადაჭამეს ყანები, ასე რომ ბევრმა ჩაბნეული თესლიც კი ვერ აიღო. ამ გარემოებამ ნივთიერად ძალზე დასცა ხაშმელი: ხაშმელის ცხოვრების მთავარი წყარო უმთავრესად ღვინოა და, როგორც ვსთქვი, ეს ღვინოც აღარ მოსდის...

ხალხში დიდ უკმაყოფილებას იწვევს ივრის თემის გამგეობის მოღვაწეობა, რომელიც არავითარ როლს თამაშობს ცხოვრებაში და მისი არსებობა მხოლოდ ქაღალდზეა. იმის მაგიერ, რომ სოფლის ეკონომიურ-კულტურულ ამაღლებაზე იზრუნოს და ხალხის ტკივილები დაუშუშოს, მხოლოდ იმის ზრუნვაშია, ვის რა გადაახდევინოს, რადგანაც ჯამაგირები გაიაიდონო. გარდა ამისა, ერთი სათემო მართველობა საკუთრივ ხაშმსაც ვერ აუვა, იმდენი საქმეა ადგილობრივ,—ხაშმელს კი 5—6 ვერსის მანძილზე უხდება სიარული ხშირ უბრალო საქმეზე და ხშირად რამდენჯერმე, რადგან იშვიათად ნახავთ თემის წევრს თავის ადგილს (დღემდე მაინც ასე იყო).

უკმაყოფილონი არიან სოფლელები იმ გარემოებით, რომ 31—32 წლიანების ოჯახებს მთავრობისაგან შეპირებული დახმარება უნდა მიეღოთ და დღემდე ეს დახმარება არ მიუღიათ. იმ დროს, როცა რესპუბლიკას უჭირდა, ამ მიწის მუშებმა თოფს სტაცეს ხელი და მტრის ტყვიას მკერდი მიუშვირეს, ხოლო შინ დარჩენილთ (თემმა თუ ერობამ) იმდენი უნარი ვერც კი გამოიჩინეს, რომ აღთქმული დახმარება მიეცათ... სახლში დაბრუნებული მეომარი გულის ტკენით შეჰყურებს იმას, ვინც სიმინდი თავის დროზე გათოხნა.

— ვაი, დედასა! სახლში რომ ვყოფილიყავი, თოხნაში ხომ ვერავინ მაჯობებდა და ორიოდე კოდი სიმინდი მეც მომივიდოდაო.

სოფლისა და ვენახის გზები სავალალო მდგომარეობაშია,—რაც პირველი ერობის დროს გაკეთდა, ხელი აღარავის უხლიაო, ზოგან ვენახები ჩამოსწვრივია..!

სოფელს საექიმო პუნქტი აქვს, პატარა აფთიაქიც, რაც თუ რამ წამალი მოიპოვება, ძლიერ იაფად იყიდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, დამშეულ და ტიტლიკანა სოფელს ეს ვერ შველის. ამ საექიმო პუნქტში მსახურებს ბებიაფერშალი ქ-ნი ბრედისი, რომელიც ხალხს მუყაითად უვლის, მაგრამ იმდენად მცირე ჯამაგირი აქვს (5800 მან.), რომ ნახევარზე მეტს შიმშილობს.

ვერც სკოლებია ჯერ ჯეროვნად ისე, როგორც საჭიროა. ვერც სათეატრო შენობაა რიგზე. მართალია თვით შენობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ თეატრისათვის საჭირო მოწყობილობა ნაკლებ არის.

სოფელს აქვს კოოპერატივიც,—შედარებით კარგად მუშაობს და ავად თუ კარგად მცხოვრებთ აკმაყოფილებს.

მიუხედავათ ასეთი გაჭირვებისა, სოფელმა მონაწილეობა მიიღო ჰიდროელექტრიულ სადგურის აგებაში, რომელიც აშენდა მდ. იორის ნაპირას ბ.ბ. ივ. ვარაზაშვილის, სპ. ზინდუქიძის, ა. ბილანიშვილისა და გ. ქელიძის თაოსნობით.

აქ წყალი გამოუვიდა ძველ ნაარხალზე, წყალვარდნილია 6 საჟენზე სცემს, წისქვილი უკვე ამუშავდა, მოკლე ხანში სინათლეს მიაწოდებს სოფელს და სახერხი მანქანაც მოეწყობა. ამ სადგურს უდიდესი მნიშვნელობა ექნება არა მხოლოდ ს. ხაშმისთვის, არამედ მთელი გარე-კახეთისთვის, ოღონდ საჭიროა, ვისგანაც ჯერ არს, ამ მშრომელთ და სოფელს ხელი არ შეუშალონ, დასახული მიზნის შესრულებაში.

სოფელმა გადასწყვიტა წყაროც გამოიყვანოს,—ამ მიზნით არჩეული კომისია უკვე მუშაობს და ახლო მომავალში წყაროსაც ველირსებით..

პურის მოუსავლობით სოფელს ახლავე ეტყობა შეწუხება.

საერთოდ, ჩვენი მოხელენი და საერობო მოღვაწენი მოვალენი არიან სოფელთან უფრო ახლო მივიდენ, ისე როგორც მისი მზრუნველი—რჩეულნი, მისი გულის ვარამი გაიგონ, წყლულები დაუშუშონ, თორემ უკმაყოფილების გესლი თანდათან გაიზრდება და ეს კარგს არას მოგვიტანს... ხალხმა უნდა ირწმუნოს, საქმით შეიგნოს, რომ ახალი დროის მთავრობა, მმართველნი და თვითონ ის—ხალხი ერთი და იგივეა, ურთიერთის პირისა და ლხინის მოზიარე..

ხაშმელი ხოხიკო.

წერილი რედ. მიმართ

მადლობას ვუცხადებთ სახალხო გვარდიის 1-ლ ბატარეის უფროსს და ყველა გვარდიელ ამხანაგებს, რომლებიც დაესწრნენ ჩვენის ძვირფასის და დაუვიწყარის შვილის მიშა ქადაგიშვილის, ტრაგიკულათ მოკლულის დაკრძალვას (სამშაბათს, 28 ენკენისთვეს); აგრეთვე ყველა ნათესავებს და ნაცნობთ, ვინც თანაგვიგრძნო პირადათ დასწრებით ან წერილობით ღრმა მწუხარებაში.

მშობლები: **ილია და ელენე ქადაგიშვილები.**

რედაქტორი **ლევან ნათაძე**

განცხადებანი

სპეციალისტი მასწავლებლები
ამზადებენ ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს. (3108—1—1)

ვასწორებ ჩამორჩენილს მოწაფეებს
მათემატიკაში
ბავშვებს და მოზრდილთ ვამზადებ
მე 2, 3, 4, 5, 6 კლასის
მოწმობის მისაღებად და ყველა სასწავლებელში შესასვლელად ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25, (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან 5) ი. მ. მაჩაიძის ბინა. (3333 10—4)

ექიმი
სოლომონ იხაკის-ძე ფოლოხი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (18—ნოემ.)

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
დაბრუნდა და იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს-დის პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 64 (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფონი 14—60. (18—ოქტ.)

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

კერძო სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების; სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606“ და „914“.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4-8 ს. ფასი 100 მ. უსახსროთათვის უფასოდ 12—2 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირქის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (1-ნოემ.)

ექიმი
დავით ლუკას ძე
კილურაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

ექიმი
ი. ა. ლომოური
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობით შეპყრობილთ იღებს დილ. 10—12-დე და საღამოს 6—7 საათ. კირქის (კიროჩნი) ქუჩა № 6. ტელეფ. 6—80. (4—ოქტ.)

ექიმი
გენრიხ ისაიას [illegible]
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, (ცხვირის და ყელის) სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 76 ([illegible]) [illegible] (16—ნოემ.)

ექიმი
კ. გ. პართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (7 ნოემ.)

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (24—ოქტ.)

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა ტფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღსთან ქაშვეთის ეკლესიის ახლოს. (30—ოქტ.)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—ნოე.)

ექიმი მ. ა. შავრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი მკურნალობა (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. [illegible] ქ. № 33. 21 ნოე.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლეს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 (ს. საღ. [illegible] 6 ნახ. საათამდე. 5—ნოე)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ნოემ.

ექიმი
ე. ი. ჭალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1—ნოემ)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება, ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის 10 1/2—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (23—ოქტ.)

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავათმყოფებს:
საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი, კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 1/2 საათ. მიხეილის საავათმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1. (16 ნოემ.)

საჭიროა
საქართველოს სახაზინო რკინის გზების სასურსათო კომიტეტის ავტო-გარაჟისთვის გამოცდილი შოფერი „ფორდისტი“ და გამოცდილი ზეინკალი მანტიორი. სასურველია ელექტრო-ტექნიკური ცოდნა. პირობების გასაცნობად შეიძლება მიმართოთ გუდოვიჩის ქუჩა სახ. № 6. ინჟ. სარქისოვის ბინაზე 4—6 საათამდე. (3377 1—1)

დავკარგეთ
ნამსახურების სია
პოლკოვნიკ ვლადიმერ გვახარიასი
მპოვნელს ვთხოვთ შემოიტანონ ან გვაცნობონ გოლოვინის პროსპ № 6. ტელ. 15—63. ტფილისის მაზრის ერობა გ. ჰინჭარაძეს (3378—1—1)